გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

25 თებერვალი
პარასკევი
1972
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 47 (15260)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ ერთა ძმობას, მეგობრობის ფიცს დავიცავ!

გალაკტიონ ტაბიძე

ფოტოპლაკატი ვლ. გინზბურგისა.

მზიური საქართველოს დღესასწაული

გიორგი ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

□

გასულ წელს საქართველოს მშრომელებმა საყოველთაო-სახალხო ზეიმით აღნიშნეს რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. ბრძოლების ქარცეცხლითა და გამარჯვებებით აღსავსე 50-წლიანი გზა, რომელიც საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა გაიარეს საქართველოს კომპარტიის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი უძველესი მებრძოლი რაზმის ხელმძღვანელობით, გაცისკროვნებული იყო დიდი ლენინის იდეებით.

დღეს ჩვენ საზეიმო ვითარებაში აღვნიშნავთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 51 წლისთავს. საქართველოს მშრომელებმა, ჩვენი დიადი სამშობლოს ძმურ ხალხებთან ერთად, მადლიერების გრძნობით გააცილეს დიდი ისტორიული მოვლენებით მდიდარი 1971 წელი. ეს იყო პარტიის XXIV ყრილობის წელი, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების, ყრილობის წინასწარდასახულობათა განსახორციელებლად მასების დარაზმვის, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის წელი. გასული წელი აღინიშნა კიდევ ორი დიდმნიშვნელოვანი მოვლენით. ეს იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია, რომლებმაც განიხილეს და დაამტკიცეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების სახელმწიფო გეგმა.

კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელად განხორციელების შედეგად, სოციალისტური ურთიერთდახმარებისა და მჭიდრო მეგობრული თანამშრომლობის საფუძველზე, გუთნისა და ხის კავის საქართველო მოკლე ხანში გადაიქცა მსხვილი ინდუსტრიის, მრავალდარგოვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობის, ყოველმხრივ განვითარებული, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის, მოწინავე მეცნიერების მქონე რესპუბლიკად.

მაგრამ ფართოდ გაშლილი მძლავრი აღმშენებლობითი რიტმი დაარღვია ფაშისტური გერმანიის ვერაგულმა თავდასხმამ. საბჭოთა კავშირი ჩაება სამკვდრო-სასიცოცხლო ომში.

საბჭოთა არმიის გამარჯვებები ჩვენი ჯარების თავგანწირულ ბრძოლასთან ერთად განაპირობა საბჭოთა ადამიანების თავდადებულმა შრომამ ზურგში. საბჭოთა ქვეყანამ მოიპოვა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება და ფაშიზმისაგან იხსნა დედამიწის ასობით მილიონი ადამიანი. სამამულო ომის ფრონტებსა და ზურგში ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად გმირული თავდადება გამოიჩინა ქართველმა ხალხმაც. მრავალმა ქართველმა ვაჟკაცმა დადო თავი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად, ბევრის მთქმელია ის ფაქტი, რომ საქართველოდან ომში წარგზავნილ ვაჟკაცთაგან 137 საბჭოთა კავშირის გმირი გახდა.

ომისშემდგომ წლებში საქართველოს მშრომელები უფრო მეტი შემართებით დადგნენ შრომითს ვახტზე და დიდი გამარჯვებებიც მოიპოვეს სოციალისტურ მშენებლობაში.

ბრძოლებში ნაცადი საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია, პარტიის ხელმძღვანელობით, უდიდესი ენერგიით და შემოქმედებითი ინიციატივით იბრძოდნენ როგორც წინა ხუთწლედების, ისე მერვე ხუთწლიანი გეგმის ამოცანების განსახორციელებლად. რაც განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამ შეჯიბრების შედეგი იყო, რომ ხუთწლედის დამლევს ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპი 1965 წელთან შედარებით 40 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქციის ზრდის ტემპი — 45 პროცენტით.

მერვე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში ამოქმედდა ახალი საწარმოო სიმძლავრეები, მრავალი ქარხანა, ფაბრიკა, საამქრო. შესრულებულია ჩაის, ყურძნის, ხილის, ციტრუსების, ხორცის, რძის, მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის ხუთწლედის გეგმები. საექსპლოატაციოდ გადაეცა ასეულ ათასობით კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები და მრავალი სხვა. გასულ ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და გაიზარდა ეკონომიკის განვითარების არა მარტო რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლებიც. ამაღლდა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, დაჩქარდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, გაიზარდა საწარმოთა მოგება და რენტაბელობა.

მერვე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა რესპუბლიკის 12.483 მშრომელი, მათ შორის 34-ს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება. გარდა ამისა, სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოვდა 18 სამრეწველო საწარმო, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, უმაღლესი სასწავლებელი და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება.

ეკონომიკის აღდგენისა და განვითარების პარალელურად საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი ზრუნვის საგანი პირველი დღიდანვე გახდა ხალხის კულტურული დონის ამაღლება, რადგან მოწინავე საზოგადოების დასაყრდენს მხოლოდ განათლებული ადამიანები შეიძლება შეადგენდნენ.

1914-1915 წლებში საქართველოში სულ 1.765 სკოლა იყო, მათ შორის მეტი წილი დაწყებითი, სადაც 157 ათასი კაცი სწავლობდა. უმაღლეს განათლებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. დღეს რესპუბლიკაში 4.585 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა 1.016.500 მოსწავლით, რომელთაც 73 ათასზე მეტი მასწავლებელი ასწავლის.

ამჟამად საქართველოს 18 უმაღლესი სასწავლებლის დღის, საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე 90 ათასამდე სტუდენტი სწავლობს. უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო დაწესებულებებში მუშაობს ათასამდე მეცნიერებათა დოქტორი და 5600-ზე მეტი კანდიდატი. საქართველოში ყოველ 1000 სული მოსახლეზე 58 უმაღლესი განათლების მქონე მოდის.

საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავზე ჩვენი მეცნიერებათა აკადემია 30 წლისა გახდა. აკადემიის 6 განყოფილების 41 სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში 200-ზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი და 900-ზე მეტი კანდიდატი მოღვაწეობს.

რესპუბლიკაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა აკადემიით როდი ამოიწურება. სხვადასხვა სამინისტროსა და უწყებას ან უმაღლეს სასწავლებელს ექვემდებარება კიდევ 151 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომლებშიც 700-ზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი და 4600-ზე მეტი კანდიდატი ეწევა ფართო მეცნიერულ მუშაობას.

თავის მოხსენებაში დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის გამო საზეიმო სხდომაზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „საბჭოთა ხალხი, რომელიც სათანადოდ აფასებს მეცნიერთა მიღწევებს,

(დასასრული მე-2 გვ.)

სსრ კავშირში საბჭოთა რესპუბლიკების ნებაყოფლობითმა შესვლამ მკაფიოდ გამოხატა მათი სოციალისტური სუვერენიტეტი და უზრუნველყო მისი საიმედო გარანტიები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მომზადების შესახებ“.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

23 თებერვალს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა სკკპ საოლქო და სამხარეო კომიტეტების პირველი მდივნების, რუსეთის ფედერაციის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეების, სამხარეო და საოლქო აღმასკომების თავმჯდომარეების თათბირი სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

მოისმინეს მთელი რიგი მხარეების, ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ხელმძღვანელთა საინფორმაციო მოხსენებანი, თუ როგორ ემზადებიან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საგაზაფხულო თესვისათვის, თუ რა მუშაობა ხორციელდება მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, პ. ნ. დემიჩევი, მ. ს. სოლომენცევი, ი. ვ. კაპიტონოვი, აგრეთვე სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მთელ რიგ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები.

მაღალი ჯილდო

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების მეოთხმოცე წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მწერალი კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე **ფედინი** დააჯილდოვა ლენინის ორდენით. (საკდესი).

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მოსკოვში

23 თებერვალს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა მოლაპარაკება სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოსა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ხო დამს შორის.

მოლაპარაკება გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა. (საკდესი).

ხელი მოაწერეს შეთანხმებას

24 თებერვალს მოსკოვში ხელი მოაწერეს სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტროს შეთანხმებას 1972-1975 წლებში თანამშრომლობის განვითარების შესახებ. შეთანხმება ითვალისწინებს გამოცდილების გაზიარებას სახალხო განათლების სისტემაში, პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში, სასწავლო მასალებისა და სახელმძღვანელოების გაცვლას. შეთანხმებაში დასახული ღონისძიებანი ითვალისწინებენ პედაგოგთა და მოსწავლე ახალგაზრდობის გაცნობას საბჭოთა კავშირში კომუნისტურ მშენებლობასთან, აგრეთვე ვიეტნამელი ხალხის სოციალიზმის მშენებლობასთან და ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ მის გმირულ ბრძოლასთან.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს — სსრ კავშირის განათლების მინისტრმა მ. ა. პროკოფიევმა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრმა ნგუენ ვან ჰიუენმა. ხელმოწერას დაესწრო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ვო თხუკ დონგი. (საკდესი).

ზეიმობს საბჭოთა საქართველო

საბჭოთა საქართველოს 51-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

□

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 51-ე წლისთავს მიეძღვნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, რომელიც 24 თებერვალს გაიმართა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. აქ მოვიდნენ სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა წარმომადგენლები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, ლენინური პარტიის ძველი გვარდიის წარმომადგენლები ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრები.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები მ. ა. გობიჩაიშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, პ. ვ. მელნიკოვი, ნ. შ. ცხაკაია, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, რ. ვ. მეტრეველი, თ. ი. მოსაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ზ. ნ. გელდიაშვილი, ვ. ი. ყადაჭკორია, ა. მ. ლაბახუა, ვ. მ. სირაძე, მ. მ. ჯაფარიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. მ. ლელაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივნები ი. ა. შევარდნაძე, ბ. ნ. ბრიგალაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ქ. ბუხრაშვილი, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის ვეტერანები, თვალსაჩინო მეცნიერნი, კულტურის მოღვაწენი, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ქ. ბუხრაშვილმა.

ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნებს.

მოხსენება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 51-ე წლისთავის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ძოწენიძემ.

საზეიმო სხდომა დახურულად ცხადდება. დარბაზში კვლავ ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

სხდომის მონაწილეებმა ნახეს ოპერისა და ბალეტის თეატრის ახალი დადგმა — ჩაიკოვსკის ოპერა „იოლანტა“. (საქდესი).

ჩვენი ენერგია — სამშობლოს იუბილეს!

თითოეული ჩვენგანის საქმე

სსრკ

50

ჩვენი ფაბრიკის კომუნისტები, მთელი კოლექტივი გულდასმით ეცნობიან მშობლიური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მომზადების შესახებ“. 22 პოლიტინფორმატორი, ორმოცამდე აგიტატორი უკვე შეუდგა საამქროებსა და ბრიგადებში, აგრეთვე სხვა სამუშაო უბნებზე ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის ფართო განმარტებას.

ჩვენთან თვრამეტი ეროვნების წარმომადგენელნი მხარდამხარ, ურთიერთ პატივისცემითა და სიყვარულით შრომობენ და გაცხოველებით ემზადებიან იუბილესათვის, როგორც საბჭოების ქვეყნის ხალხების ძმობისა და მეგობრობის უდიდესი დღესასწაულისათვის.

ამ მზადებაში სულ უფრო თვალნათლივ მოჩანს საწარმოს კომუნისტთა ავანგარდული როლი. ყოველდღიურად მატულობს ხუთდღიურის ოთხ დღეში შემსრულებელთა, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა, ტექნიკური სიახლეების ინიციატორთა რიცხვი.

გ. ნიკოლაიშვილი,
თბილისის მეექვსე სამკერვალო ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი.

მეტალურგების ვემზადებით

საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი ქარხნის კოლექტივიც ფართოდ ემზადება, ღირსეული წარმატებებით შეხვდეს საბჭოთა კავშირის იუბილეს. ყველგან — საამქროებში, დგანებთან, აგრეგატებთან იგრძნობა მაღალი შრომითი პათოსი.

ჩვენ, ქართველ მეტალურგებს, გვეამაყება, რომ რუსთავის ქარხნის პროდუქციის გამოშვებაში ქართველებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც.

ჩვენ ისიც გვეამაყება, რომ მეფოლადეობა ჩვენი ძვირფასი რუსი და უკრაინელი მეგობრებისაგან ვისწავლეთ.

რუსთაველი მეტალურგები პირობას ვდებთ, რომ კიდევ უფრო ვუმატებთ შრომის ტემპს და ახალ-ახალი წარმატებებით შევეგებებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

მ. სპანდერაშვილი,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

51



მთვარის ზედაპირის ნაკვეთი „ლუნა-20“ სადგურის დასაჯდომი საფეხურის უშუალო სიახლოვეს. მარცხენა ნაწილში ჩანს დასაჯდომი საფეხურის რადიოკომპლექსის მანძილის ანტენა. სურათის მარჯვენა ნაწილში მოჩანს გაბურღვის შემდეგ დარჩენილი ჭაბურღილი (შემოხაზულია თეთრი კვადრატით). სურათის ცენტრშია შტანგი საბურღავი მოწყობილობით, რომელიც განზე გადაწეულია ბურღვის ოპერაციის შემდეგ.

საკდესი (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

მთვარის გრუნტი დედამიწისაკენ „მოემგზავრება“

რეპორტაჟი საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრიდან

□

მთვარეზე დაჯდომიდან 28 საათის შემდეგ როგორც ექსპერიმენტის პროგრამა ითვალისწინებდა, მთვარის სიუხვის ზღვის მახლობელი უსიცოცხლო ზეგნიდან დედამიწისაკენ სტარტი აიღო „ლუნა-20“ სადგურის დასაბრუნებელმა აპარატმა. ეს მოხდა 22 თებერვალს ღამით. ახლა ჩვენი პლანეტისაკენ „მოემგზავრება“ მთვარის გრუნტის ფასდაუდებელი სინჯი.

მაგრამ ყველაფერზე თავიდან გიამბობთ. 21 თებერვალს გვიან საღამოს მთვარეზე დაჯდომის შემდეგ სადგურს დედამიწიდან გადაეცა კომანდების სერია. ჩაირთო ტელეფოტომეტრების კამერები. საჭირო იყო სადგურს მიმოეხილა გარემო. და თუმცა დაჯდომის რაიონი არჩეული იყო სიუხვის ზღვასა და კრიზისების ზღვას შორის მდებარე მთაგორიან მასივში, სადგურის გარშემო ლანდშაფტი შედარებით სწორია.

ყველა საბორტო სისტემის მუშაობის მმართველი ოპერატორები და სპეციალისტი-სელენოლოგები დიდი ყურადღებით უკვირდებიან პანორამულ სურათებს. მთვარის ზედაპირზე უნდა ამოირჩიონ პუნქტი გრუნტის ასაღებად. ხანმოკლე თათბირი. და აი, რუხი ოღროჩოღრო სტრუქტურის პანორამაზე აღინიშნა წერტილი: „აქ“.

იქვე მიეცა კომანდები საბურღმექანიზმიანი შტანგის შემობრუნების შესახებ: ჯერ იგი სადგურის კორპუსიდან დადგა ვერტიკალურ მდგომარეობაში, შემდეგ კი შებრუნდა. ავტომატური საბურღი კომპლექტი, რომლის მუშა ტანზე უკვე ახდილია ხუფი, ნელ-ნელა ეშვება მთვარის ზედაპირზე.

მიღებულია ზედაპირის კიდევ ერთი გამოსახულება. ამჯერად მოჩანს მხოლოდ ნაკვეთი, საიდანაც აიღებენ გრუნტის სინჯს. ვხედავთ ბურღის დეტალებს. ყველაფერი წეს-

(დასასრული მე-2 გვ.)

მზიური საქართველოს დღესასწაული

(დასასრული)

მოელის მათგან ახალ, კიდევ უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს. სოციალიზმი თავისი განვითარების დროს ეყრდნობა ყველაზე მოწინავეს, პროგრესულს, რასაც ადამიანის გენია ქმნის. მეცნიერებას ვუკავშირებთ ჩვენს მომავალს და დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა მეცნიერება, ჩვენი მეცნიერები მსოფლიო პროგრესის ყველაზე მოწინავე მიჯნებზე იქნებიან“. ქართველი მეცნიერები თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ ამხანაგ ბრეჟნევის ამ მოწოდებით.

ახალგაზრდობის სავალდებულო სწავლებისა და მეცნიერული კვლევის ფართოდ გაშლის პარალელურად საბჭოთა ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობს ხალხის მასების ზოგად კულტურული დონის ამაღლებას. ვისაც ჩვენი სოფელი ადრე უნახავს, კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ერთადერთი „კულტურული“ დაწესებულება იქ იყო საყდარი, რადგან სოფლების აბსოლუტურ უმრავლესობას სკოლაც კი არ გააჩნდა. ახლა ყოველ დიდ სოფელში არის კულტურის სახლები. რომელთა უმეტესობა იმდენად კარგ შენობაშია, რომ ბევრი ქალაქიც არ დაიწუნებდა ასეთ შენობას. რაიონებსა და სოფლებში ახლა ცოტა როდია მუსიკალური სკოლები და მუზეუმები. თითქმის ყველა ოჯახში არის რადიომიმღები, ტელევიზორი, ამიტომ არის, რომ თანდათან იშლება ზღვარი ქალაქსა და სოფელს შორის.

სახელოვანი გზა გაიარა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ. ჩვენი ეროვნული პროზის, პოეზიის, დრამატურგიის მრავალი ნაწარმოები შესულია საბჭოთა ლიტერატურის ოქროს ფონდში. სულ უფრო იზრდება ჩვენი თეატრალური და კინოხელოვნების პოპულარობა. საქართველოს კომპოზიტორების, მხატვრების, მოქანდაკეების შემოქმედება დიდ სიყვარულს და აღიარებას პოულობს არა მარტო საბჭოთა ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოური პერიოდის ქართველი მწერლები და პოეტები ღირსეულად აგრძელებენ ქართული მწერლობის საუკეთესო ტრადიციებს. კომუნისტური პარტია თავის დიდ ზრუნვას არ აკლებს საბჭოურ ლიტერატურას. ამის ერთ-ერთი საუკეთესო დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ლიტერატურული კრიტიკის განვითარების შესახებ, რაც, უდავოდ, დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენი მწერლობის იდეურ-მხატვრული დონის შემდგომ ამაღლებას.

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში გამოდის მილიონობით წიგნი, გაზეთი, ჟურნალი. რესპუბლიკა დაიფარა კეთილმოწყობილი საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების ქსელით. ახლა საქართველოში 10.000 მოსახლეზე მოდის 37 ექიმი და 91 საშუალო მედპერსონალი. ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკა ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

პარტიისა და მთავრობის განუხრელი ზრუნვა მშრომელთა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად ნათლად ჩანს იქიდანაც, რომ წინა ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში აშენდა 5 მილიონ 900 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. გარდა ამისა აშენებულია და შენდება მრავალი კოოპერაციული სახლი ქალაქად და ინდივიდუალური — სოფლად.

ასეთივე ტემპით ვითარდება საქართველოში შემავალი აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობა და კულტურა. მათი მიღწევები მთლიანად ასახულია საქართველოს საერთო წარმატებებში.

მერვე ხუთწლედში საბჭოთა ქვეყნის ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებაში მოპოვებულმა წარმატებებმა ჩვენი ხალხის წინაშე ახალი, უფრო გრანდიოზული ამოცანები დასახეს. ეს ამოცანები ჩამოყალიბებულია კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა, რომ „მეცხრე ხუთწლედი კომუნიზმის გზით საბჭოთა საზოგადოების შემდგომი წინსვლის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის, ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი უნდა გახდეს. ხუთწლედის მთავარი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპების, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე“.

მეცხრე ხუთწლიანი გეგმა თავისი მნიშვნელობით და მასშტაბით გრანდიოზულია. ამ დიადი და ვრცელი პროგრამის შესრულებით ყველა პირობა შეიქმნება პიროვნების ფიზიკური და ინტელექტუალური განვითარებისათვის, მომავალი თაობის კომუნისტური აღზრდისათვის, მოსახლეობის ფართო ფენების დასვენებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. „მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება, აღნიშნა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიის XXIV ყრილობაზე, — თვით ჩვენი სამეურნეო განვითარების სულ უფრო მტკიცე მოთხოვნილება, წარმოების სწრაფი ზრდის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური წანამძღვარი ხდება“.

სერიოზული წარმატებებით ეგებება ჩვენი მრეწველობა საბჭოთა საქართველოს 51 წლისთავს. გადაჭარბებით შესრულდა სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების წლიური გეგმა. 1970 წელთან შედარებით სამრეწველო წარმოების მატებამ მთლიანად რესპუბლიკაში შეადგინა 4,7 პროცენტი; რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებულ საწარმოებში სამრეწველო წარმოების მატებამ შეადგინა 4,7 პროცენტი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3,2 პროცენტისა.

ვადამდე შესრულდა მარგანეცის მადნისა და ქვანახშირის მოპოვების, ელექტროენერგიის წარმოების, ლითონსაჭრელი ჩარხების, სატვირთო ავტომობილების, ქაღალდის, აბრეშუმის ქსოვილების, ხორცის, კარაქის, ყველის, მოუხდელი რძის პროდუქციის, ყურძნის ღვინის, შამპანურის და ზოგიერთი სხვა სახეობის სამრეწველო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა.

შემცირდა სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება. 1970 წელთან შედარებით მოგება გადიდდა 10 პროცენტით და მეტად.

შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 1970 წელთან შედარებით გაიზარდა 3,9 პროცენტით; პროდუქციის მთელი მატების 85 პროცენტი მიღებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად.

გასულ წელს დიდი ყურადღება ექცეოდა სახალხო მეურნეობის რიგ დარგებში მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას და წარმოების კომპლექსურ მექანიზაციას და ავტომატიზაციას. წლის მანძილზე სამრეწველო საწარმოებში დაიდგა 69 მექანიზებული ნაკადური და ავტომატური ხაზი. 15 უბანი, საამქრო, წარმოება გადაყვანილია კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციაზე.

1971 წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დაინერგა დაახლოებით 22 ათასი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რაც წელიწადში იძლევა 28 მილიონ მანეთზე მეტ ეკონომიას.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი მუშათა კლასი, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი შემდგომშიც ძალასა და ენერგიას არ დაიშურებენ, რომ წარმატებით დაამთავრონ ხუთწლედის მეორე წელი და მთლიანად ხუთწლედი.

მეცხრე ხუთწლედის პირველი წელი საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის მეტად არახელსაყრელი იყო ძლიერი, ხანგრძლივი გვალვის გამო, მაგრამ ჩვენმა სახელოვანმა სოფლის მშრომელებმა ჩინებულად, დიდი შემართებით იშრომეს და შედეგიც მრავალმხრივ სასიხარულოა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობამ 1971 წელს რესპუბლიკაში შეადგინა 1042 მილიონი მანეთი, რაც 4 პროცენტით აღემატება წარმოების საშუალო წლიურ დონეს წინა ხუთწლედში. დიდი წარმატებებია მოპოვებული ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, ხორცის, კვერცხისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში. შესრულდა ხილის, ბოსტნეულის, თამბაქოს, ციტრუსოვანთა და სხვათა შესყიდვის გეგმები.

შარშან პარტიისა და მთავრობის მიერ განხორციელებული ქმედითი ღონისძიებების შედეგად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

კოლმეურნეობათა მთლიანმა შემოსავალმა 1971 წელს შეადგინა 307,1 მილიონი მანეთი და 1970 წელთან შედარებით 3 პროცენტით გაიზარდა.

კიდევ უფრო გაიზარდა და განმტკიცდა ჩვენი სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელმაც 1971 წელს მიიღო 3.165 ტრაქტორი, 1 721 სატვირთო და სპეციალიზებული ავტომობილი, 2.591 ტრაქტორის გუთანი, 907 კულტივატორი და მრავალი სხვა სახეობის თანამედროვე ტექნიკა. სოფლის მეურნეობამ გასულ წელს მიიღო აგრეთვე 599 ათასი ტონა მინერალური სასუქი, რაც 37 ათასი ტონით მეტია, ვიდრე 1970 წელს.

მართებული იქნება გავიხსენოთ, რომ 1970 წელს, დიდი ლენინის საიუბილეო წელს, სოფლის მეურნეობის დარგში სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის საქართველოს მეოთხედ მიეკუთვნა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. ეჭვგარეშეა რომ ჩვენი სახელოვანი სოფლის მშრომელები კვლავაც არ დაიშურებენ ძალ-ღონესა და ენერგიას, უფრო მეტი მონდომებით იშრომებენ ვალდებულებათა პირნათლად განაღდებისათვის. წელს არაჩვეულებრივ მძიმე ზამთარმა უდავოდ რთული ამოცანების წინაშე დააყენა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა. ბევრი სიძნელის გადალახვა იქნება საჭირო, რათა ამ პირობებშიც წარმატებით ვიბრძოლოთ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული კაპიტალური მშენებლობის დარგში. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე 1971 წელს ამოქმედდა 955 მილიონი მანეთი ღირებულების ძირითადი ფონდები, ანუ 18 პროცენტით მეტი, ვიდრე 1970 წელს. გასულ წელს მწყობრში ჩადგა 18 ახალი სამრეწველო საწარმო, აგრეთვე ბევრი ახალი საამქრო და წარმოება შეემატა მოქმედ საწარმოებს.

მნიშვნელოვნად ამაღლდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის დონე. ამის ერთ-ერთი მაჩვენებელია ისიც, რომ მოსახლეობის ანაბრები შემნახველ სალაროებში 1 წელიწადში 67 მილიონი მანეთით გაიზარდა. სახელმწიფოს, კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის სახსრებით, წინასწარი მონაცემებით, საექსპლოატაციოდ გადაეცა 25,8 ათასამდე ახალი კეთილმოწყობილი ბინა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, რომელთა საერთო ფართობი 1.675 ათასი კვადრატული მეტრია. საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 35,4 ათასი მოსწავლისათვის, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებანი 3,5 ათასი ადგილით, 300 საწოლიანი საავადმყოფოები და პოლიკლინიკები და სხვა.

ასეთია მოკლედ მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის ძირითადი მაჩვენებლები. გავლილია ხუთწლედის მეორე წლის მეორე თვეც. წინ დაძაბული და თავდადებული შრომა მოგველის, ყოველდღიური, გეგმაზომიერი, შეგნებული შრომა სახალხო მეურნეობის ყველა ფრონტზე. 1972 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა ახალი ხუთწლედის ორგანული შემადგენელი ნაწილია. ყოველმა ჩვენთაგანმა კარგად იცის, რომ ის, რაც კეთდება და გაკეთდება, ყველაფერი საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობას მოხმარდება.

საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ აღნიშნა, რომ გასულ ხუთწლედში სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგებით საქართველოს 25 სამრეწველო საწარმომ დაიკავა პირველი ადგილი, თქვა: „მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. მეტად დიდი და დაძაბული შრომა მოგველის. ყრილობის მიერ დასახული უდიდესი პროგრამის შესრულება მოითხოვს ახალ შრომით ღონისძიებებს, შეუპოვარ, შთაგონებულ, შემოქმედებით შრომას“.

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ყოველგვარი კარგისა და მნიშვნელოვანის საწინდარი თავდადებული შრომაა. ჩვენს საბჭოთა სინამდვილეში ჩაისახა და ფრთები შეისხა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომელიც ახალ-ახალ გამარჯვებათა მოპოვების ერთ-ერთი უძლიერესი საშუალებაა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე ვ. ი. ლენინმა წამოაყენა ამოცანა — მოვაწყოთ შეჯიბრება. „და, თუ ჩვენ, — წერდა იგი, — დავაყენებთ შეჯიბრების ორგანიზაციას, როგორც ჩვენს სახელმწიფოებრივ ამოცანას... შედეგებმა თავი უნდა იჩინონ აუცილებლად და ისინი გვიკარნახებენ ჩვენ მშენებლობის შემდგომ ფორმებს“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გასული წლის სექტემბრის დადგენილებაში: „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, ღრმად არის გაშუქებული შეჯიბრების მნიშვნელობა, თავისებურებები და ამოცანები კომუნისტური მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე და პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანოებს უჩვენებს მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის ახალი აღმავლობის გზებს. პარტიის ცენტრალური კომიტეტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარება და მისი ორგანიზაციის სრულყოფა უმნიშვნელოვანესი პირობაა ქვეყნის ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების იმ პროგრამის წარმატებით განხორციელებისა, რომელიც პარტიის XXIV ყრილობამ დასახა. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მაღალი შეფასება მისცა მოსკოველთა და ლენინგრადელთა თაოსნობით გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას მეცხრე ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის ნოემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის გადაწყვეტილებებით გამოწვეულ საყოველთაო-სახალხო შრომით აღმავლობას, საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი და ამასთან დაკავშირებით იანვრის ბოლოს ჩატარებულ რესპუბლიკის მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენელთა კრებაზე იკისრეს გადიდებული ვალდებულებები.

საქართველოს მშრომელებს, ისევე როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ხალხს, კარგად ესმით, რომ ჩვენი სამშობლოს შემდგომი წინსვლის, ძლიერების განმტკიცების, ყველა მშრომელის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების ამოცანები მოითხოვენ თავდადებულ შრომას, და ისინი მზად არიან თავისი ცოდნა, გამოცდილება, თავისი ძალ-ღონე მოახმარონ ჩვენი სამშობლოს შემდგომ წინსვლას, რადგან ეს წინსვლა კაცობრიობის ოცნებას — კომუნისტურ საზოგადოებას გვიახლოვებს.

წელს საბჭოთა ხალხი მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავენ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას — მსოფლიოში პირველი მრავალეროვანი სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავს, რომელმაც მსოფლიოს უჩვენა ეროვნული საკითხის ლენინური გადაჭრის ბრწყინვალე ნიმუში. ჩვენი რესპუბლიკის წარმატებანი შედეგია სწორედ ამ „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმურის“ არსებობისა, სადაც ურთიერთდახმარება და გამოცდილების გაზიარება ცხოვრების კანონად იქცა და საფუძველია ჩვენი ქვეყნის გრანდიოზული მასშტაბის სოციალისტური მშენებლობისა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მომზადების შესახებ“ შესანიშნავადაა ნათქვამი, რომ: „ჩვენს მრავალეროვან ქვეყანაში ეროვნული საკითხი იყო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ერთ-ერთი მთავარი საკითხი. მის სწორ გადაწყვეტაზე ბევრად იყო დამოკიდებული ახალი წყობილების ბედი. მხოლოდ კომუნისტურ პარტიას, რომელიც გამოხატავს მუშათა კლასის, ყველა მშრომელის საარსებო ინტერესებს და ახორციელებს ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, შეეძლო შეეკავშირებინა ყველა ერი და ეროვნება ერთიან ინტერნაციონალურ ძმობად და მათი ძალები წარემართა ახალი საზოგადოების შექმნისათვის. მან პირნათლად შეასრულა ეს ისტორიული ამოცანა იმიტომ, რომ განუხრელად ხელმძღვანელობდა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით“.

სამგზის ორდენოსანი საბჭოთა საქართველოს მშრომელები, ბრძოლებში გამოწრთობილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მჭიდროდ დარაზმულნი სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ახალი ენერგიით განაგრძობენ შემოქმედებით შრომას, რათა ღირსეულად შეასრულონ ახალი ხუთწლედის მეორე წლის დავალებანი და წარმატებით განახორციელონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი.

საქართველოს მშრომელები მთელი თავისი საქმიანობით შეეცდებიან სავსებით გაამართლონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის რწმენა, რომ საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავი იქნება სსრ კავშირის ერთა და ეროვნებათა ერთიანობის, კომუნისტური პარტიის გარშემო მათი შეკავშირების, ხალხთა ინტერნაციონალიზმისა და მეგობრობის პრინციპებისადმი ერთგულების ახალი მკაფიო დემონსტრაცია.

მთვარის გრუნტი დედამიწისაკენ „მოემგზავრება“

(დასასრული).

რიგზეა. შეიძლება დაიწყოს ექსპერიმენტის ყველაზე რთული და პასუხსაგები ოპერაცია — ბურღვა.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი დიდმნიშვნელოვანი მოვლენის მონაწილე ინჟინრები და მეცნიერები ყურადღებით უსმენენ ოპერატორთა ცნობებს ბურღვის სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ. გავლილია ქანების გარეგანი — ყველაზე ფხვიერი ფენა. ბურღი ჩავიდა ას, შემდეგ კიდევ ორმოცდაათ მილიმეტრზე... გრუნტის სიმკვრივე იზრდება. ინსტრუმენტი სულ უფრო ნელა ბრუნავს. საჭიროა შესვენება, გადაწყვიტეს სპეციალისტებმა. ხანმოკლე პაუზა — და კვლავ ამოძრავდა გლუვი ბურღი. რადიოარხებით სადგური გადმოსცემს თვითეული ოპერაციის დაწვრილებით ანგარიშს. რობოტი მორჩილად ასრულებს დედამიწის კომანდებს.

ბურღვა დამთავრდა. ინსტრუმენტი თავის ადგილზე ბრუნდება. და კვლავ შტანგა-მანიპულატორი იწყებს ბრუნვას, ამჯერად უკუმიმართულებით. გრუნტიანი სვეტი თავსდება ლასაბრუნებელი აპარატის კონტეინერში. მჭიდროდ დაიხურა ჰერმეტული ხუფი. სინჯი შეფუთულია, მაგრამ სტარტამდე ოც საათზე მეტი დროა. ამ პერიოდში დედამიწა უნდა შემობრუნდეს თავისი ღერძის გარშემო. რაკეტის სტარტი მთვარიდან ზუსტად გაანგარიშებულ დროს უზრუნველყოფს აპარატის დაშვებას დედამიწაზე საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ნავარაუდევ რაიონში...

მაშ ასე, მთვარის გრუნტი დედამიწისაკენ „მოემგზავრება“, და გასაგებია მღელვარება მეცნიერ-სელენოლოგებისა, რომლებმაც მთელი თავიანთი ძალ-ღონე მთვარის ბუნების გამოკვლევას მიუძღვნეს.

როგორია მნიშვნელობა ახლანდელი ექსპერიმენტისა, რომელიც პირველად მოგვცემს შესაძლებლობას მივიღოთ მთვარის მატერიკების გრუნტის ნიმუშები?

ერთ-ერთმა მკვლევარმა, ამ კითხვაზე რომ გვიპასუხა, გვიამბო:

— მთაგორიანი რაიონები („კონტინენტები“) და დაბლობები („ზღვები“) მარტოოდენ რელიეფით კი არა, არამედ ქანების ქიმიური შედგენილობით, მათი მექანიკური მახასიათებლებითაც განსხვავდებიან. ეტყობა, მთვარის ამ რაიონების წარმოქმნისა და განვითარების ისტორია სხვადასხვაგვარია. ზღვები წარმოიშვა გალღობილი ლავის მასებით ძველი კონტინენტური ფორმაციების ავსების დროს. მაშასადამე, ზღვების მასალა უფრო ახალგაზრდაა. ასაკობრივი განსხვავება შეიძლება 2-3 მილიარდ წელიწადს აღწევდეს. საჭიროა ზუსტი რაოდენობრივი მონაცემები მთვარის სხვადასხვა ზონაში მისი საფარველის შესახებ. და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთვარის გრუნტის მახასიათებელთა შედარება, რომლის სინჯი აღებულია დაბლობზე და მთებში.

...დგება სტარტის ნანატრი მომენტი, რომელსაც დიდი ხანია მოელოდნენ. დაძაბულია სახეები, ლაკონიურია მოხსენებანი: ავტომატიკამ ნორმალურად იმოქმედა. აპარატი მოსცილდა სადგურს...

დასაჯდომი საფეხური სამუდამოდ დარჩა მთვარეზე. ორჯერ გამოიყენეს ექსპერიმენტში „ლუნა-20“ სადგურის ეს უნიკალური შემადგენელი ნაწილი. მასზე დადგმულია უმნიშვნელოვანესი სისტემები, რომლებმაც უზრუნველყვეს ფრენა დედამიწა-მთვარის ტრასაზე, გასვლა მთვარისირგვლივ ორბიტაზე და, ბოლოს, რბილი დაჯდომა მთვარის ნავარაუდევ რაიონში. მისმა ოთხმა საყრდენმა „შეარბილა“ ავტომატური აპარატის შეხება ზედაპირთან. და აი, ახლა დასაჯდომი აპარატი მეორედ გამოიყენეს, მაგრამ უკვე როგორც სასტარტო მოწყობილობა „მთვარე-დედამიწა“ კოსმოსური რაკეტისათვის.

სტარტის შემდეგ, როცა რაკეტის სიჩქარემ წამში 2.700 მეტრს გადააჭარბა, ძრავა გამოირთო ლოგიკური საბორტო მოწყობილობის კომანდით. ბალისტიკური ტრაექტორიით აპარატი გამოეშურა მშობლიური პლანეტისაკენ, სადაც მას მოუთმენლად მოელიან მეცნიერები და კონსტრუქტორები. 24 თებერვალს დილისათვის კოსმოსური რაკეტა მთვარეს დასცილდა დაახლოებით 100 ათასი კილომეტრი მანძილით. დედამიწასთან მოახლოების კვალობაზე იგი კიდევ უფრო სწრაფად მოძრაობს და უკანასკნელი დღე-ღამის განმავლობაში ერთიორად მეტ გზას გამოივლის. დაბრუნების ტრასაზე გადაწყვეტილია დაზუსტდეს ტრაექტორიის პარამეტრები, რათა უფრო სწორად განისაზღვროს დაჯდომის რაიონის ფარგლები.

მთვარის „წარმოგზავნილს“ მალე შევეგებებით...

ო. ნევზოროვი,
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი. (საქდესი).

საქართველოს მთა-ბარში

სად არ ნახავთ

იგზავნება ინგლისში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, ირანში

☐ **ზუგდიდი.** (საქ. კორ.). ქალაქის ჩაის საწნეხი ფაბრიკის პროდუქცია — მწვანე აგურა და შავი ბაიხაო ჩაი დიდი მოწონებით სარგებლობს ინგლისში, ჩეხოსლოვაკიაში და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში.

ახლახან ზუგდიდიდან ინგლისში გაიგზავნა 325 ტონა შავი ბაიხაო ჩაი, 400 ტონა ჩეხოსლოვაკიაში, ხოლო 1808,5 ტონა მწვანე აგურა ჩაი — მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში.

აღსანიშნავია, რომ ხუთწლედის პირველ წელს ფაბრიკამ ყველა მაჩვენებლით შეასრულა გეგმები და თვითღირებულებაში ეკონომია 70 ათას მანეთზე მეტი მიიღო.

წლევანდელი იანვრის გეგმა ფაბრიკის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა.

☐ **გეგეჭკორი.** (საქ. კორ.). დაბის ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს გაუგზავნა 80 ტონა ხარისხოვანი შავი ბაიხაოს მზა პროდუქცია. გეგეჭკორულმა ჩაიმ კარგი შეფასება მიიღო და „სოიუზპლოდიმპორტის“ ფულადი პრემია დაიმსახურა.

☐ **გორი** (საქდესი). გორის შპალსაჟღენთი ქარხანა ამიერკავკასიის ერთ-ერთი უძველესი საწარმოა. იგი 1890 წელს ამუშავდა. მისი თავდაპირველი სიმძლავრე 10000 კუბური მეტრით განისაზღვრებოდა.

მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა. ქარხნის კოლექტივმა წელს 136 ათასი კუბური მეტრი შპალი უნდა გაჟღინთოს. ყოველდღიურად გორელი შპალმჟღენთავები გეგმის გადამეტებით ათეულ კუბურ მეტრ მერქანს ამუშავებენ. მათი ნახელავი ჩვენი დიადი სამშობლოს ბევრ რესპუბლიკაში იგზავნება.

ამას წინათ კი გორული შპალი 1100 კუბური მეტრის რაოდენობით გაიგზავნა ჩვენს მეზობელ სახელმწიფოში — ირანში, ქალაქ ისპაჰანის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობაზე. აღნიშნული კომბინატი საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება.

ასე იწრთობა ადამიანი

რევოლუციური წარსულის სახელოვანი მემკვიდრენი

მარგანეცის მაღაროში შრომა თავისებურია. რკინიგზით დაქსელილი მიწის წიაღი მადნის უამრავი სანგრევებით თუ ლავებით ლაბირინთს ჰგავს. მადნის მაგარ ქანებთან შერკინებაში არის ერთგვარი გატაცება, რომანტიკა, სიყვარული. მაღარომ შეგუება, დამორჩილება იცის. მადნის სანგრევი თუ შეიყვარეთ, მას ძნელად დათმობთ. ზამთარს თბილი, ზაფხულს გრილი გეჩვენებათ მაღარო, რადგან წიაღში უცვლელი ტემპერატურაა. ვინც მაღაროში შრომობს, მას ადვილად როდი დაითანხმებთ გარეთ იმუშაოს...

შრომა რომ გმირობისა და სახელის საქმეა ეს უდავოა. მაღაროში შრომამ საქვეყნო სახელი მოუპოვა საქართველოს პირველ სტახანოველს, პირველ ლენინის ორდენოსანს ჭიათურაში ვასილ სამხარაძეს. ამ 35 წლის წინათ, როცა კრემლში მიღებაზე ვ. სამხარაძემ თავისი შრომის მაჩვენებლები მოიხსენია, ი. ბ. სტალინმა ქართულად შესძახა: „ბარაქალა!“ მაღაროთა კოლექტივებმა გამოაწრთეს სოციალისტური შრომის გმირები ტ. ფოფხაძე და პ. გოგატიშვილი, ლენინის ორდენოსანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. პაპიძე და ბევრი სხვა სახელგანთქმული მაღაროელი...

მღვიმევის ზეგანი, სადაც კალინინის სახელობის მაღარო მდებარეობს, უძველესია ჭიათურაში. ქართველთა სასიქადულო მგოსანმა აკაკიმ პირველად სწორედ აქ დაიწყო მარგანეცის საბადოს დამუშავება, სწორედ აქაური მადანი გავიდა პირველად უცხოეთში. მაღაროს კოლექტივს საუცხოო შრომითი და რევოლუციური წარსული აქვს. აქაური მაღაროელები მუდამ იყვნენ რევოლუციის წინა ხაზზე. ამის ნათელი დადასტურებაა მაღაროს ყოფილი მერვე საწარმოო უბნის წიაღში რამდენიმე წლის წინათ აღმოჩენილი სტამბა, რომელიც ბოლშევიკებმა 1913 წელს აქ გადამალეს. ამ ღირსსახსოვარი მოვლენის აღსანიშნავად აქ დადგმულია მემორიალური დაფა. კალინინელები არც სახელოვან შრომით ტრადიციებს ივიწყებენ.

მაღაროელი კომუნისტები, იდეოლოგიური დარგის მუშაკები ამ ისტორიული მოვლენებით ამაყობენ. ისინი მშრომელებს საინტერესოდ მოუთხრობენ მაღაროს წარსულზე, სახელოვან გზასა და ღვაწლმოსილებაზე, მაღაროელებში აღვივებენ საწარმოსადმი სიყვარულს, შთააგონებენ მათ გაუფრთხილდნენ მაღაროს კოლექტივის სახელსა და ღირსებას, ამრავლონ კარგი ტრადიციები. ასეთ მუშაობას კეთილსასურველი ნაყოფი მოაქვს.

საბჭოთა ადამიანისათვის შრომითი კოლექტივი აღმზრდელ-მრჩეველი, მშობლიური ოჯახი, მეორე სახლია, სოციალისტური საზოგადოების ძირითადი უჯრედია.

ადამიანთა აღზრდა-ფორმირების, მათში კოლექტივიზმის, ურთიერთპატივისცემის, პასუხისმგებლობის, შრომის კომუნისტური ჩვევების ჩანერგვა-გამომუშავება. ადამიანთა შემოქმედებითი აქტივობა, თაოსნობის შემდგომი განვითარება მაღაროს პარტიული ორგანიზაციის, მთელი კოლექტივის მთავარი საზრუნავია. აქ კარგად იყენებენ მძლავრ ბერკეტს — სოციალისტურ შეჯიბრებას. გადასცემენ მაღაროელებს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩვევებს. მაღაროს კოლექტივი წარმატებით იბრძვის კომუნისტური შრომის საწარმოს წოდების მოპოვებისათვის.

ეს საპატიო სახელი უკვე დაიმკვიდრეს იმ საწარმოო კოლექტივებმა, რომლებსაც ი. აბულაძე, ა. ფერაძე, შ. კაპანაძე, მ. მოღებაძე, ა. ღუღუნიშვილი უძღვებიან. მაღაროელთა ნახევარზე მეტი კომუნისტური შრომის დამკვრელია. ისინი, მაღაროს კოლექტივმა, შრომამ გამოზარდა, აწრთო. მაღაროელების ბ. ქველაძის, მ. ღუღუნიშვილის, ა. მაჭარაშვილის, ნ. ხვედელიძის, ა. ბოჭორიშვილის, ო. ღუღუნიშვილის, ა. ივანოვის, ე. გაფრინდაშვილის და სხვების დამსახურებაც არის ის, რომ მაღაროს კოლექტივმა — ჭიათურაში პირველმა — 14 თვით ადრე შეასრულა მერვე ხუთწლედი, წარმატებით დაამთავრა მეცხრე ხუთწლედის პირველი სამეურნეო წელი და სამშობლოს ორ მილიონ მანეთამდე მოგება მისცა. ათი წელია კალინინელებმა არ იციან, რა არის რეკლამაცია. პროდუქციის მარკის ღირსების დაცვის, წარმოების კულტურის ამაღლებისა და მომჭირნეობისათვის თავგამოდებით იბრძვის მთელი კოლექტივი.

მაღაროს კოლექტივმა გამოზარდა, დაავაჟკაცა სახელმოხვეჭილი გვირაბგამყვანი ბ. ქველაძე. იგი ყოველთვის კარგი საქმის თაოსანია. მისი წინადადებით მაღაროში დაინერგა კომპლექსური ბრიგადებით მუშაობის მეთოდი, რომელიც ერთობ რენტაბელური გამოდგა. ეს პროგრესული მეთოდი ყველა მაღაროში გავრცელდა. ბ. ქველაძე ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დააჯილდოვეს. იგი ახალზრდა მაღაროელების ერთგული მრჩეველი და აღმზრდელიც არის, შრომის მოწინავე მეთოდების შემსწავლელი სკოლის ინსტრუქტორია და შარშან 48 გვირაბგამყვანი მოამზადა.

შრომისადმი სიყვარული ამოძრავებდა მღვიმეველ ივ. გაფრინდაშვილს. მან 35 წელი იმუშავა მაღაროში და ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენები დაიმსახურა. ვეტერანმა მაღაროელმა შრომისა და მაღაროსადმი სიყვარული შვილებსაც ჩაუნერგა. ახლა მისი ექვსი შვილი წარმატებით შრომობს მაღაროში.

აღმზრდელ მაღაროს კოლექტივს უმადლის თავის შრომითს თუ ოჯახურ წარმატებებს ცნობილი გვირაბგამყვანი მ. ღუღუნიშვილი. იგი ბავშვობიდან შეეზარდა კოლექტივს და ახლა რვა ორდენისა და მედლის კავალერია.

ტექნიკისადმი ლტოლვა მისწრაფება, საიდუმლოებათა ამოხსნა თანამედროვე ადამიანის განუყოფელი თვისებაა. მადნის გამამდიდრებელ ფაბრიკაში დაინერგა მექანიზმების ავტომატური მართვა-შეზეთვა, საწარმოო ტელევიზია. უახლეს ტექნიკას კოლექტივში აღზრდილი ადამიანები მართავენ. ი. აბულაძემ და ლ. ჩაჩანიძემ ფაბრიკაში მჩატე პორებიანი მადნის გამდიდრების ტექნოლოგია დაამუშავეს, აქვე აშენდა ახალი საამქრო და ამით მაღარომ 372.156 მანეთი დანაზოგი მიიღო. მაღაროელმა რაციონალიზატორებმა დ. პატარაიამ, ა. ფერაძემ, შ. ჩუბინიძემ, რ. ვარდოსანიძემ, ა. გაფრინდაშვილმა და სხვებმა ბევრი მნიშვნელოვანი სიახლე დანერგეს და 200 ათასი მანეთი შეიტანეს მეცხრე ხუთწლედის ფონდში. ახალ ტექნიკას საფუძვლიანად დაეუფლა 92 მაღაროელი.

ადამიანთა აღზრდას, მათში ახალი ჩვევების გამომუშავება-დანერგვას ემსახურება პოლიტიკური სწავლებისა და კომუნისტური შრომის ცხრა სკოლა, სადაც 347 მაღაროელია გაერთიანებული. პროპაგანდისტები გ. თვალჭრელიძე, დ. ცერცვაძე, გ. სამყურაშვილი, ე. გიორგობიანი, ო. შარვაძე, რ. ტეფნაძე შინაარსიანად ატარებენ მეცადინეობას, საფუძვლიანად მსჯელობენ ახალი ადამიანის მორალური თვისებების ფორმირების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე. განსაკუთრებით ზრუნავენ მშრომელთა ეკონომიური განათლებისათვის. კარგად მუშაობენ კომუნისტური შრომის სკოლები, რომლებსაც ახალგაზრდა ინჟინრები ჯ. ღუღუნიშვილი და რ. ლაბაძე ხელმძღვანელობენ.

მაღაროელებს უყვართ წიგნი — ცოდნის წყარო, კარგი მეგობარი და მრჩეველი. მაღაროს ბიბლიოთეკებში 6 ათასზე მეტი წიგნია. აქ ხუთასამდე მუდმივი მკითხველია. მაღაროში ვრცელდება 74 დასახელების ხუთი ათასამდე ჟურნალ-გაზეთი. წარჩინებულ გვირაბგამყვანს გ. გაფრინდაშვილს ხშირად ნახავთ ბიბლიოთეკასა და წიგნის მაღაზიაში. იგი ინტერესით არჩევს მხატვრულ, პოლიტიკურ თუ ტექნიკურ ლიტერატურას, ამდიდრებს საკუთარ ბიბლიოთეკას. კარგი საკუთარი ბიბლიოთეკები აქვთ აგრეთვე გ. თვალჭრელიძეს, ო. შარვაძეს, შ. მაჭარაშვილს, ა. ფერაძეს, გ. ჭუმბურიძეს, გ. ჩიტიჩაძეს.

კალინინელები ზრუნავენ მშრომელთა პატრიოტულ-ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდისათვის. 1942 წლის მრისხანე ოქტომბერში მაღაროელებმა ფრონტზე გააცილეს ს. ჭილაძე, რომელიც გმირულად დაეცა უთანასწორო ბრძოლაში და ბელორუსიის მიწამ მიიბარა. მაღაროელ ს. ჭილაძეს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება...

მაღაროს ეზოში აღმართულია ს. ჭილაძის ძეგლი, დადგმულია მემორიალური დაფა, წითელ კუთხეში მოწყობილია ს. ჭილაძის სტენდი. აქ ხშირად იკრიბებიან ძველი მაღაროელები, ახალგაზრდები. შრომისა და ომის ვეტერანები მ. ღუღუნიშვილი, პ. ბოყოველი, გ. ჩუბინიძე, ბ. ბოჭორიშვილი მშრომელებს ესაუბრებიან ს. ჭილაძის ცხოვრების გზაზე, საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველმყოფელ ძალაზე.

მაღაროში წესად დამკვიდრდა გულთბილი გაცილება მოუწყონ არმიაში მიმავალ ახალგაზრდებს. მიმოწერას არ წყვეტენ მათთან. კალინინელები მეგობრულ მიმოწერას განაგრძობენ აგრეთვე მოძმე ბელორუსიის სოფელ დუბროვის მშრომელებთან, რომლებიც სათუთად უვლიან ქართველ გმირის ს. ჭილაძის საფლავს. ეს ხალხთა მეგობრობის საუცხოო გამოხატულებაა.

კალინინელები დელეგაციების გაცვლასა და მეგობრულ მიმოწერას არ წყვეტენ ნიკოპოლელ მაღაროელებთან, რომლებსაც აგერ ორმოცი წელია ეჯიბრებიან.

პ. ჭიოკაძე.

თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის კოლექტივი ენთუზიაზმით ეცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მომზადების შესახებ. ჩაღდება შეჯიბრება, რომლის დევიზი ასეთია: დამკვრელური შრომით აღვნიშნოთ ხუთწლედის მეორე წელიწადი. ამ შეჯიბრების ინიციატორები არიან მოწინავე მუშები, რომლებმაც თავდადებული შრომით შარშანაც თავი ისახელეს.

* * *

სურათზე: ქარხნის მოწინავე ადამიანები (მარცხნიდან) გამწყობი კ. ვეფხვაძე, მუშა ნ. ბიგვავა, მღარავი ბ. გუგეშაშვილი, მუშა შ. ბერაია, გამწყობი ფ. მაღრაძე, მღარავი კ. ამისულაშვილი. ისინი ყოველდღიურ დავალებებს 120-130 პროცენტით ასრულებენ და მაღალი მაჩვენებლებით ხვდებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეს.

ფოტო გ. გოგოხიასი.

51

51

ირაკლი აბაშიძე

ისევ გვეძახის ალაზანზე

მიქოლა ბაჟანს

განა გათავდა?
შეწყდა ჩვენი განა ერთობა? —
ისევ გვეძახის ალაზანზე ალავერდობა;
გრემთან,
ყვარელთან
კვლავ ის ოქროს დგანან დარები,
ისევ იქ თვლემენ ჩვენი თეთრი მამამთავრები,
თვლემენ კვლავ მშვიდად,
თითქოს წლობით არ უავდრნია;
ისევ მწიფს მაძღრად ალაზანზე
ჩვენი ფლანდრია.

გელით სიღნაღთან,
უკვე ღამემ ცეცხლმოდებული
ზეცას ზვრებიდან შეაყარა
ლალის მტევნები,
უკვე გუგუნებს ჯალავანში
ექო მთებური,
კოცონს უსხედან ფეხმორთხმული ღამისმთევლები.

უკვე ხანძრებთან
სუფრის შესხმა იწყეს კახელთა,
უკვე გახელდა,
ზეცას რუჯავს ალი ზევსური;
უკვე მთიელთა ქარავნების
ჭრელ ჩარდახებთან
დვრინით ღიღინებს
გაბაშვილის მთვრალი ხევსური.

უკვე აღზევდა,
უკვე ლხინად დგას იაშვილი,
ელავს ჰაერში სიტყვა მისი
როგორც ნახატი;
საყდრის კედლებზე უხმოდ გალობს
ბევრი აჩრდილი
და ჯიხვის რქაში ჩქეფს არაყი
პირველნახადი.

თუშს ფშავ-ხევსური,
კახს ფშავ-თუში
იწვევს ვახშამზე,
სუფრა სუფრისკენ ეზიდება
ლხინში შესულებს;
უკვე კოცონთან ქისტურს ცეკვავს
ნატო ვაჩნაძე
და ნატოს თვალი შვლისებრ უფრთხის
თუშ-ფშავ-ხევსურებს.

ხარობს ბახუსი,
გალავანში ხარობს მაცდურად,
ხან ხევსურს ხმალზე,
ხან თუშს ეშმად უზის ჩახმახში;
იქ შემპარავად შიგ კოსტალას
ჯამში დაცურავს,
აქ უწყლო წისქვილს უქილიკებს
პაშა ჩახნაშვილს.

ლხინობს საყდარი,
ყრუდ გუგუნებს ყველა სენაკი,
ლხინობს ალუდა,
ლხინობს მზაღო,
ლხინობს ონისე;
მთვრალ ჯოყოლებთან,
ლუხუმებთან
სვამს ლეონიძე.
ზვიად ზეზვებთან, მინდიებთან ზის პასტერნაკი.

გელით სიღნაღთან,
რომ ამ ქვეყნის აურზაური,
რომ ეს მთა-ბარი,
ეს ალაზნის მთელი ხეობა,
რომ ეს ხატობა —
ძველთა ჩვენთა დღესასწაული
ისევ ვაქციოთ პოეტების ძმობის დღეობად.

დავსხდეთ ხელახლა
და ვთქვათ ისევ:
ძველი მგოსნები
ჩვენს დიდ საფიქრებს
როგორ ისევ შევრჩით ურყევნი;
რომ ჩვენი სუნთქვით,
ჩვენი სისხლით,
ჩვენი ლოცვებით
ვართ ისევ ერთურთს შეფიცულნი,
ვართ განუყრელნი.

განა გათავდა?
შეწყდა ჩვენი განა ერთობა? —
ისევ გვეძახის ალაზანზე ალავერდობა;
გრემთან,
ყვარელთან
კვლავ ის ოქროს დგანან დარები;
ისევ იქ თვლემენ ჩვენი თეთრი მამამთავრები,
თვლემენ კვლავ მშვიდად
თითქოს წლობით არ უავდრნია;
ისევ მწიფს მაძღრად ალაზანზე
ჩვენი ფლანდრია.

1971. X.

ახალი ლექსები

თენგიზ გოგოლაძის ახალი ვრცელი მოთხრობა, „თქვენი ჭირისა!" ასახავს კოლმეურნე გლეხობისა და მუშათა კლასის მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ამბავს. ქვემოთ ვბეჭდავთ ერთ თავს ამ მოთხრობიდან.

თქვენი ჭირისა!

დიმიტრი ჩქარეულმა ქარხანაში სიარული მოუხშირა. კვირა ისე არ გაივლიდა, რომ იქ არ ჩამოჩენილიყო. კოლმეურნეობის მთავარი მექანიზატორი საგაზაფხულო თესვისათვის ამზადებდა მანქანა-იარაღებს, წესრიგში მოჰყავდა. შეკვეთას შეკვეთაზე აძლევდა ქარხანას. ქარხანაში კი უყოყმანოდ ავსებდნენ შეკვეთის მწვანეზოლიან ქვითრებს: — „მწვანე გზა ჩვენს მეგობარს!"

პარასკევს, ნაშუადღევს, ქედელების ხაზარგო მანქანაზე გამზადებული ნაწილები დატვირთეს. ამავე მანქანაზე დააწყეს შეფუთული ელექტროავტომატური ღუმელები წიწილების ფერმისათვის.

დიმიტრი ძარაზე იდგა და მუშებს ყუთების დაწყობაში ეხმარებოდა. თვალი შეასწრო ლადოს, რომელიც მისკენ მოეშურებოდა. ჩქარეული ძარიდან გადმოხტა და მიეგება.

— პირობაზე როგორ ხარ, ლადო? გელოდებით.

— როგორი გზებია?

— თოვლი ალაგალაგ დევს, გზას არა უშავს. როდისთვის ჩამოხვალთ?

— რაღა გადავდოთ, ხვალვე თქვენთან ვიქნებით, დაიცადეთ და ერთად გავუდგეთ გზას. ჩემი მანქანით წაგიყვან.

— არა, არსენა ამ საღამოს გველოდება. ასე დამიბარა, ზუსტად შვიდზე გზაზე ვიდგებით. როგორი საქმეა, როცა კოლმეურნეობის თავმჯდომარე კაბინეტში კი არა, იანვარში გზაზე დგას და გელოდება! ერთი სული აქვს, როდის ჩავიტან მოწყობილობას, ეჩქარება. სულ ერთია იმ კვირის ბოლომდე მაინც ვერ დაამონტაჟებენ. თქვენი ხალხი უნდა წამოვიდეს.

— ხვალ თქვენთანა ვარ.

— გელოდებით.

ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში იანვარში მზე რომ გამოვა, გაზაფხული ეგონება კაცს.

ის დილაც მზიანი იყო.

თითქოს მზის შესაგებებლად, აღმოსავლეთისაკენ მიქროდა ცისფერი მანქანა. შიგ ორნი ისხდნენ, ლადო და ვახტანგი.

მიხვეულ-მოხვეულ გზებზე მიქროდა მანქანა. მზე ხან გვერდიდან შეხედავდა ბიჭებს, ხან წინ დაუხვდებოდა მანქანას. გზა ამ დროს საოცრად ბზინავდა.

ლადოს განზრახული ჰქონდა სიღნაღზე გაევლო, უნდოდა ალაზნის ველი მეგობრისათვის იქიდან დაენახვებინა. ვახტანგს ათასი რამ სმენია ალაზნის ველის ზღაპრულ სილამაზეზე. მაგრამ ახლა ზამთარი იყო და ველს ის მომხიბვლელობა აღარ ექნებოდა, რასაკვირველია.

სიღნაღში რომ მივიდნენ, მზე კარგა მაღალზე იყო წასული. სიღნაღიც მაღალზეა აზიდული, ალაზანს მედიდურად გაჰყურებს.

ლადომ გზიდან გვერდზე მიაყენა მანქანა. ვახტანგი გადმოხტა, ერთი ხარბად გახედა კიდით კიდემდე მოოქროვილ, მთებით გარემოცულ ველს და აღტაცებისაგან ხელები გაშალა.

— აქამდე არასოდეს არ მინატრია ჩიტი ვყოფილიყავ!

ამ ზამთრის შუადღისითაც ლამაზი იყო ალაზანი, ჭკნობა არ ემჩნეოდა, გულს მზეზე ითბობდა. თვალს რაც უფრო შორდებოდა საწიერი, ბაცდებოდა. ველსა და მთის შესაყართან ნისლი გაწოლილიყო და ამ ნისლში აზიდულიყვნენ ცისფერი მთები, მერე იქით კიდევ მთები და მთები... ოქროსფერ ველს კი თვალისმომჭრელი ბზინვარებით ჩაუდიოდა ალაზანი. წყალი აკლდა. თითქოს შეყინულიყო მისი მდინარება. არც ხმა ისმოდა, არც მისი დინება მოჩანდა, ვერცხლისფერი ვიწრო ქამარივით გადაკლაკნილიყო ველზე და შორს, შორს, ისიც, როგორც მთლიანად ველი, რძისფერ ნისლიდან გამოდიოდა.

ჩიტი უნდა იყო და სწორედ აქედან, სიღნაღის გადმოსახედიდან აიქროლო ჯერ აღმა, მერე დაღმა ჩაიქროლო, რომ უცებ, ერთი ხარბად შეიგრძნო ამ ველის მშვენიერება. არავინ იცის, ეგებ ესეც არ იყოს საკმარისი. ეგებ ასე სჯობს, იდგე და ათას ტკბილ ფიქრსა და ოცნებას ჰქსოვდე გონებაში.

ველს სიმწვანე აკლდა, მაგრამ მზე ამ ნაკლულ ფერსაც აჩენდა ალაგ-ალაგ. შორიდან ისე ჩანდა, თითქოს ზამთრის ძილით არ სძინებოდეთ ვაზებს, ბაღებს. თვალს ფერთა საოცარი თამაში ატყუებდა.

— გმადლობთ, ლადო, ამ სიამოვნებისათვის, — თავი მდაბლად დაუკრა კმაყოფილმა ვახტანგმა, — შენ აგაშენა ღმერთმა!

ნაშუადღევს შირაქში იყვნენ. ქედის კოლმეურნეობის კანტორაში უკვე ელოდნენ მათ.

კანტორის წინ ცნობისმოყვარეთა მთელი ჯგუფი შემოეხვია ცისფერ მანქანას. აქაც კითხულობდნენ, რომელი ქვეყნიდან იყო ჩამოტანილი, აქაც ერკვეოდნენ ათასგვარ ფირმაში, მაგრამ ამ ცისფერ მანქანას კი ვერაფერი გაუგეს. ან რა მარკა ექნებოდა ლადოს ხელით ნაკეთებს!

ჩქარეული კიბეზე შეეგება ლადოსა და ვახტანგს. ისე დიდი ამბით ჩამოართვა ხელი მუშებს, თითქოს წინა დღეს არ ენახოს ისინი. არსენ ქადაგიძე კაბინეტში დახვდა მათ.

— გამარჯობათ, გამარჯობათ! — ხალისიანად ჩამოართვა ხელი ორივეს, — დაბრძანდით, მაშ არ ივარგეს ჩვენმა ბიჭებმა ჰა?

— არ ივარგეს, — გულახდილად მიუგო ლადომ, — ჩვენ თვითონ შევარჩევთ, პატარა გამოცდას მოვაწყობთ. სხვანაირად არ გამოვა. თუ კაცს ხალისი და მონდომება არ შევატყვეთ, ისე ჩვენც გაგვაწვალებს და თავსაც მოიტყუებს. დროს ნუ დავკარგავთ და საქმეს შევუდგეთ.

ჩქარეული ფეხზე იდგა და თავმჯდომარეს უყურებდა, მის განკარგულებას ელოდა. მაგრამ თავმჯდომარე არ ჩქარობდა.

— დაჯექი, ფეხზე რათ დგეხარ, დიმიტრი.

— რა ვიცი, — თქვა ჩქარეულმა და დაჯდა.

— ჩვენ ისეთი ბიჭები გვინდა, — განაგრძო ლადომ, — რომლებიც მათემატიკაში არ მოიკოჭლებენ, ხაზვაც შეეძლოთ და რკინაც უყვარდეთ. იქნებიან ასეთები...

— გვაპატიეთ, რომ ამდენი დრო წაგვართვით. ავჩქარდით, ყველაზე ზარმაცებს დავავლეთ ხელი და... ახლა კი ერთი ათი კაცი შეგირჩიეთ გამოსაცდელად.

— დრო არ არის, პატივცემულო არსენ, თორემ იმ ლუარსაბისაგან კაცს გამოვიყვანდი. ერთი-ორი წელი ყოფილიყო ჩემთან, — მიმართა ვახტანგმა.

— რომელი ლუარსაბისაგან?! — გაკვირვებით შეხედა არსენამ ჩქარეულს.

ჩქარეულმა მხრები აიჩეჩა. მათ ხომ სოლომონი და ნიკო გაგზავნეს სასწავლებლად. ეს ლუარსაბი ვიღაა?

ლადომ გაიღიმა და თავმჯდომარეს აუხსნა, ზარმაცი რომ იყო სოლომონი, ვახტანგმა ამიტომ შეარქვა ლუარსაბიო. არსენამ და დიმიტრიმ გულიანად გაიცინეს.

— ახლა ბიჭებს ჩვენ ცოტა... — მრავალმნიშვნელოვნად თქვა არსენამ.

— ყველაფერი თავის რიგზეა, არსენ, — მიუგო ჩქარეულმა.

კახელ კაცს სტუმარი რომ ჩაუვარდება ხელში, ტკბილი სიტყვითა და გემრიელი პურ-მარილით უნდა გაუმასპინძლდეს უთუოდ. აბა, მშიერ კაცს როგორ მოატარებს თავის მამულში, როგორ გაახედ-გამოახედებს სანახებში!..

კარგად დანაყრებული ბიჭები ჩქარეულმა სამანქანო პარკისაკენ წაიყვანა.

სოფლის ბოლოში გავიდნენ.

წიწილების ფერმას ჩაუარეს. სახურავზე ხელოსნები კრამიტს აწყობდნენ. სხვენიდან რამდენიმე ბიჭი სათითაოდ აწვდიდა კრამიტს. უცებ ამ ბიჭთაგან ერთი შეიცნო ვახტანგმა.

— ლუარსაბ! — დაუძახა.

სოლომონს მხოლოდ თავი ჩანდა. აქეთ მოიხედა. მოიხედა და ხელები ზევით შემართა.

— ვახტანგ! — დაიძახა სოლომონმა და მაღლა ამოხტა.

— როგორა ხარ, როგორ?

— აი, ასე ვარ, კრამიტებში გაჭედილი.

— ეგ გერჩივნა და იყავ მანდ.

ფერმას გასცდნენ.

— კარგია, რომ საქმე გამოგიძებნიათ ლუარსაბისათვის, — მიმართა ვახტანგმა ჩქარეულს.

— უსაქმურად წიწილასაც არ ვაჩერებთ ჩვენს სოფელში. წიწილამაც საქმე უნდა აკეთოს. ეს არის ჩვენი დევიზი.

სამანქანო პარკში მივიდნენ, სადაც მექანიზატორები ფუსფუსებდნენ, არემონტებდნენ მანქანების მორყეულ და მოშლილ ნაწილებს.

— არა, მაგათ ხელს ვერ ვახლებთ, — ხელები გაასავსავა დიმიტრი ჩქარეულმა, — დღითიდღე იზრდება ჩვენი პარკი, შოფრები და კომბაინერები კი გვაკლია. ათი ბიჭი დაგვიბრუნდა ჯარიდან, ოთხს შოფრობა უსწავლია, მადლი მოგვივიდა. დანარჩენებსაც რომ ჩვენთვის გამოსადეგი რამ შეესწავლათ, კარგი იყო. ამ ბიჭებიდან უნდა შევარჩიოთ.

— ნამდვილად აჯობებს. რაც უნდა იყოს, შეგნებულები არიან ჯარგამოვლილები, — თქვა ლადომ.

— ისემც რა ვუთხრა ნიკალა ბერუაშვილის შეგნებას! როგორიც წავიდა, იგივე დაბრუნდა, არც მეტი, არც ნაკლები. არ გათეთრდება ყორანიო, ხომ გაგიგონიათ... ის ერთი არ გვინდა. დანარჩენები კი დავიბარე, აქ მოვლენ.

სანამ ბიჭები თავს მოიყრიდნენ, ვახტანგმა და ლადომ მოასწრეს მთელი ავტო-სამანქანო პარკის დათვალიერება, შევიდნენ სარემონტო სახელოსნოშიც. იქ რამდენიმე ახალგაზრდა მუშაობდა. რაღაც ნაწილებს ქლიბავდნენ, ასუფთავებდნენ.

ლადოს სახელოსნო ძალიან ეპატარავა, რასაკვირველია, იმ საამქროს ვერ შეედრებოდა, სადაც თვითონ მუშაობდა, თაღებაწეულს, განიერს, ღია მწვანედ შეფეთქილს, ნათელს.

— ამხელა სახელოსნო გვერდით უნდა მოვაშენოთ. იქ გვეყოლებიან ხარატები და ზეინკლები. თქვენს შეპირებულ სახარატო დაზგას იქ დავდგამთ.

სახელოსნოში საშუალო ხნის კაცი შემოვიდა. არმიული მაზარა ეცვა და თავზე ნაბდის ქუდი ეხურა. პირდაპირ ჩქარეულისა და სტუმრებისაკენ გამოსწია. როცა მათ მიუახლოვდა, ის ჩიტის ბუდისხელა ქუდი მოიხადა და საერთო სალამი თქვა, მერე ყველას ჩამოართვა ხელი და ახალგაზრდა მუშებს გაეცნო:

— კოტე პაპინაშვილი გახლავართ. გავიგე, რომ ხელობის შესასწავლად ხალხი გჭირდებათ. წაიყვანეთ ჩემი ბიჭი. თავს იკლავს, ისე უნდა თქვენთან წამოსვლა.

— მერე, სად არის ის ბიჭი? — იკითხა ჩქარეულმა, — წადი, მოიყვა,.. მოიყვა, მოიყვა! ვიცნობ, რა ბიჭიც არი.

— ბარემ არ გვინდოდა, მაგრამ, — უკან დაიხია კოტე პაპინაშვილმა, — რა გაეწყობა, ბიჭს უნდა.

— ჰოდა, რა საქმეზედაც გული მიუწევს, მიუშვით... თვითონაც გაიხარებს და თქვენც გაგახარებთ... — ურჩია ლადომ, — სწავლობს?

— მეცხრე კლასშია. კიდევ ერთი წელი, და საშუალოსაც დაამთავრებდა. ჩემი დედაკაცი ლამის გაგიჟდეს. ვერაფერს გავხდით. სულ აქეთ მორბოდა ჩემი ბიჭი, სახელოსნოსკენ, სულ შოფრებს უჯდა გვერდში და პირველ მეოთხედში რომ რვა ორიანი მოგვართვა, მეორეში — ათი. წაიყვანეთ ამნაირ კაცს?

— რატომაც არა, თუკი ჩვენი საქმისკენ იწევა გული. ნახავთ, რა ხარატს გამოვჩარხავთ მაგისგან. სამაგალითო კაცი იქნება.

— აბა, თქვენ რა იცით, რა დადგება! — წყენით მიუგო კოტემ.

— ამდენ ლაპარაკს, ბიჭი ჩამოიყვანე, ისა სჯობს! — ჩაიდუდუნა ჩქარეულმა.

როცა კოტე წავიდა, დიმიტრიმ კმაყოფილებით ჩაილაპარაკა:

— ეს ერთი უკვე ნაღდია. თექვსმეტი წლის ბიჭია. ისეთია, რომა! სულ ჩვენსკენ გამორბოდა და არ გამოუშვეს. დედამისი ერთი კვირა რომ გვიმტკიცებდა, ჩემი შვილი ექიმი უნდა გამოვიდესო, მეორე კვირას გაიძახოდა, იურისტი უნდა იყოსო. ხან აგრონომად უნდოდა, ხან ღვინის ტექნოლოგად... მისი შვილი ხარატი დადგება და კაცი იქნება, მერედა მე შენ გითხრა, პერსპექტივა არა გვაქვს. ამ სახელოსნოს ქარხანად ვაქცევთ. მეზობელი კოლმეურნეობებიდანაც მოვლენ... გაშალე ნიჭი და გაიხარე.!

დემობილიზებულთაგან სამნი მოვიდნენ. მალე ჩქარეულის მიერ გაუთვალისწინებელი ორიოდე კაცი შეემატათ. მსურველები აღმოჩნდნენ. კოტეც დაბრუნდა, ქერა, მწითური ბიჭი მოიყვანა. მის დანახვაზე სახე გაებადრა ვახტანგს.

— რა გქვია, ბიჭო?

— შალვა.

— გინდა ჩვენთან წამოსვლა?

— მინდა.

— იმ ათ ორიანს ვის უტოვებ?

ბიჭმა თავი დახარა.

— ხარატობა რომ მდომოდა... — თქვა ვიღაცამ. ვახტანგმა ყური მოჰკრა და მთქმელს მიხედა. არც აცივა, არც აცხელა, მაშინვე მოსწრებულად მოუჭრა:

— მაშინ სადოქტორო დისერტაციასაც არ დაიცავდი, არა?

ბიჭებს გაეცინათ.

შეყროვებულ ახალგაზრდათაგან ორი უნდა შეერჩიათ. ერთმა ცივი უარი განაცხადა და ის მაშინვე გაუშვეს შინ. კონკურსი დიდი იყო. იყო მღელვარებაც. ვახტანგს სწორედ ეს ესიამოვნებოდა, რომ ბიჭები განიცდიდნენ. ექვს თვეში ხელობას შეისწავლიდნენ, მეტი რა უნდოდათ. ცოდნა ვის მოსჭარბებია! მერედა, ასეთი ხელსაყრელი პირობები ყოველთვის როდი აქვთ.

კოლმეურნეობა თავის ხარჯზე გაგზავნის, ბინაც ექნებათ, სმა-ჭამაც, მერედა, როგორ ბრიგადაში მოხვდებიან! სახელოვან ხალხთან.

მთელმა სოფელმა იცოდა ლადო თედორაძის ბრიგადის წარმატების ამბავი. თავიანთი თვალით ნახეს ბრიგადირის თვითნაკეთები ავტომანქანა. ამ აზრებმა ჟინი აღუძრეს ახალგაზრდებს, რომ სახელოვანი ხარატის ბრიგადაში მოხვდებოდნენ, რომ თვითონაც მალე ასეთები ყოფილიყვნენ, ამიტომ გამოცდისას ცდილობდნენ თავი როგორმე მოეწონებინათ ოსტატებისათვის.

გამოცდა უბრალო, მაგრამ საქმიანი იყო.

ვახტანგი არითმეტიკაში სცდიდა, ლადო — ხაზვასა და სპეციალობაში. სპეციალობაში რკინის დამუშავება შედიოდა, ის, რაც „აბიტურიენტს" ემარჯვებოდა.

და აი, კონკურსში გამარჯვებულნიც:

შალვა პაპინაშვილი და მირიან ქოჩიაშვილი.

ამ საღამოს დიდი ქეიფი გაიმართა დიმიტრი ჩქარეულთან. თამადად არსენ ქადაგიძე დააყენეს. სუფრაზე მთელი სოფლის ნაღები საზოგადოება იყო.

სოსო კობაიძეს არ დავიწყებოდა დიმიტრი ჩქარეულთან დადებული პირობა და კოხტა გოგონებიც დაეპატიჟებინა. გოგონები დიასახლისს ეხმარებოდნენ, სტუმრებს დასტრიალებდნენ.

ლადოს მარცხნივ ვახტანგი იჯდა, მარჯვნივ — მირიან ქოჩიაშვილი, მისი მომავალი შეგირდი. შალვა პაპინაშვილი კი ვახტანგმა აიყვანა.

ბევრი გოგონა ირეოდა, მაგრამ ერთი სულ სხვა თვალზე დაინახა ლადომ. ის გოგო მირიანთან მივიდა, მოეფერა და ხმადაბლა უთხრა:

— ბევრი არ დალიო, ბიჭო.

თან ისე გადმონათა თვალები ლადოს, გული აუფორიაქა. ქალს რომ ამხელა ძალა ჰქონდა, მხოლოდ იმ ღამეს იგრძნო. იგრძნო და აიმღვრა, რომ ქალიშვილი მაცუდრი გამოდგა, აქეთ მირიანს ეფერებოდა, იქით ლადოს აყრიდა თავისი ლამაზი თვალების ეშხს...

თამადამ ორი დიდი კოლექტივის სადღეგრძელო დალია, მანქანათსაშენებლო ქარხნის და კოლმეურნეობისა. ლადომ სიტყვა თქვა, ჩამოჰქნა და ჩამოაგვირისტა, როგორც სახელოვან მუშას შეშვენოდა, ყანწი დაცალა და სოსო კობაიძეს ჯადასცა. სოსომ რატომღაც თვალი ჩაუკრა და გაუღიმა. ლადო ვერ მიუხვდა და ვერც ვერაფერი ჰკითხა.

გოგოებმა ფანდური მოიტანეს. ვიღაცამ უხეიროდ ააჩხაკუნა, უღიმღამოდ დაამღერა.

ვახტანგმა გიტარა მოითხოვა, თან ხუმრობით დაუმატა:

— აუცილებლივ ბაფთიანი გიტარა უნდა იყოს, სხვაზე მე არ ვუკრავ!

მართლა ბაფთიანი მოუტანეს. ეგონათ, ამ კაცმა რა უნდა დაუკრას, ან რა უნდა დაამღეროს, ხუმარა ყოფილა ვიღაცაა და ახლაც ხუმრობაში ატარებსო.

მაგრამ როცა მან სიმებს მოხდენილად შეახო თითები და სიმღერა დაიწყო, სუფრასთან მსხდომნი უმალ გაინაბნენ, სამზარეულოში მოფუსფუსე ქალებიც გამოვიდნენ: ვახტანგმა ლადოს გადმოხედა, ეს ნიშანი იყო ისიც აჰყოლოდა.

ლადომ შენიშნა, რომ ის გოგო, წეღან მირიანს რომ მოეფერა, კარებს აჰკვროდა და მომღერალი ბიჭებისაკენ ისეთი თვალებით იყურებოდა, თითქოს ის თვალები შველას ითხოვდნენ.

ისევ ტაში, მოწონების შეძახილები.

— თქვენ გაგახარათ ღმერთმა!

— რა ხმები აქვთ!

— ყოჩაღ, ბიჭებო!

მირიან ქოჩიაშვილი ლადოსკენ გადმოიხარა და უთხრა:

— ჩემი და სუფრაზე მარტო არ მიშვებს, ბევრი არ დალიოო. რისა ეშინია, რა ვიცი, ჭინჭყლი და ჩხუბისთავი არა ვარ. ჯარში ვიყავ, ჩამოველ, მაინც პატარა ვგონივარ...

გულზე მოეშვა ლადოს, სიამტკბილობით შეხედა მირიანს. აგაშენათ ღმერთმაო, დალოცა. დალოცა იმიტომ, რომ და-ძმანი ყოფილან, იმიტომ, რომ ორივენი კარგები არიან და... იმიტომ, რომ დღეიდან რაღაც მშვენიერი და მოუსვენარი, გაზაფხულის ნიაღვარივით იქნება ლადოს ცხოვრება. და ეს აქედან იწყება, დიმიტრი ჩქარეულის ოჯახიდან, აი ამ მშვენიერი სუფრიდან.

ხვეწნა-მუდარა არ სჭირდებოდათ ბიჭებს. სადღეგრძელოს სიმღერა მოჰყვებოდა.

არავის ეჩქარებოდა, აღარავის სწყუროდა ღვინო. ოღონდაც სტუმრებს ერთხელ კიდევ, მხოლოდ ერთხელ ემღერათ. და ის სიმღერაც რომ გათავდებოდა, ისევ ემუდარებოდნენ: მხოლოდ ერთხელ!

ჩქარეულის ჭერს ასეთი მოლხენა არ ახსოვდა.

არც ვახტანგსა და ლადოს უმღერიათ იმდენი.

დილით მამლების ყივილმა გააღვიძა ლადო. შეიგრძნო, რომ უცხო სახლში იწვა. და უცებ გაახსენდა წუხანდელი, გაახსენდა, მაგრამ როგორ დაიშალნენ, ის უკვე აღარ ახსოვდა. გაახსენდა და სიამით აუძგერდა გული.

სადღაც იქვე, ეზოში თუ ეზოს გაღმა, ომახიანად ყიოდა ძველი მამალი, ხმაზე ეტყობოდა.

გარეთ ჯერ კიდევ ბნელოდა. ზაფხულში ამ დროს სოფელს სინათლე ეფინება. ახლა კი ისევ ბნელა, ბნელა, რადგან ზამთარია... მაგრამ მამლები ჟამს არ არღვევენ, ბნელა თუ ნათობს, მათ თავიანთი დრო იციან და ყივიან.

ოთახშიც ბნელოდა, მაგრამ გვერდით საწოლში ილანდებოდა ლაღად მწოლიარე ვახტანგი. ხელები პატარა ბავშვივით თავს ზევით ბალიშზე გადაეყარა და ჩუმად ფშვინავდა.

როგორ მოილხინე წუხელ! თავიც ისახელეს და მასპინძლებიც ასიამოვნეს. მარტო ის კი არ არის საქმე, ჩარხთან იდგე და გეგმებს ასრულებდე. კაცი უნდა კაცად ვარგოდე და მოლხენაც შნოიანი შეგეძლოს.

ლადოს ძილი აღარ მიეკარებია. ფანჯრებს თვალს არ აშორებდა და დიდხანს, ძალიან დიდხანს უგდებდა ყურს მამლების ყივილს, ვიდრე არ გათენდა.

გათენდა და აიშალა სოფელი, დადუმდნენ მამლები.

ვახტანგმა გაიღვიძა. ლადო რომ ფეხზე დაინახა, გაუკვირდა:

— შენ რა, ეგრე ზეზეულად გაათენე?

— ასე ვიდექ მთელი ღამე. შენ გდარაჯობდი. ბორჯომი არ გინდა?

— ბორჯომიო?.. ისე ვარ, როგორც ჩიტი, რა ღვინო იყო, შენი ჭირიმე! კვირაში ერთხელ არ გვაწყენდა ასეთი სუფრა, რას იტყვი?

ლადოს გაეცინა.

— ორიოდე საათი არ არის, რაც სუფრიდან ადექი და ასე მალე მოგენატრა?

— განა ცუდი იყო წუხანდელი საღამო?

— ძალიან კარგი. იმაზე კარგი, რაც მე ოდესმე მინახავს... ახლა ადექ. მასპინძლები ფეხზე არიან და ალბათ ჩვენ გველოდებიან.

და ისინი მართლაც ელოდნენ სტუმრებს, ელოდნენ ისევ გაშლილი სუფრით.

... ნაშუადღევს ცისფერ მანქანაში ოთხნი ჩასხდნენ, შემოეხვივნენ კი ბევრნი.

დოდო, თითქოს სხვა ადგილი ვერ მოძებნა, შოფრის კართან სულ ახლოს დადგა. ძმასთან გამოსათხოვრად მოსულიყო. იდგა და ვერაფერს ამბობდა, რადგან იქვე ახლოს საჭესთან ლადო იჯდა.

— ძმის დარდი გაქვთ? — ხმადაბლა ჰკითხა ლადომ.

ქალიშვილი შეკრთა.

— დიახ... ვდარდობ. ორი წელი ჯარში იყო. ახლა ისევ მიდის.

— ჩემთან იქნება, ნურაფრის გედარდებათ.

თვალებს ერთმანეთს ვერ უსწორებდნენ და აბა, ისე რა საუბარი აეწყობოდა?!

მანქანა დაიძრა.

ისევ გაკრთნენ დოდოს წყლიანი თვალები და...

გზა, გზა, გზა!

თენგიზ გოგოლაძე.



საქართველოს დღე

ტაშკენტის გაზეთები მოგვითხრობენ

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად მოძმე უზბეკეთის ტაშკენტის ოლქის ქალაქ ალმალიკში ამას წინათ გაიმართა „საქართველოს დღე". ვ. ი. ლენინის სახელობის სამთო-მეტალურგიული კომბინატის კოლექტივმა ზეიმზე მიიწვია ჭიათურელ მაღაროელთა და ზესტაფონელ მეტალურგთა თვითმოქმედი კოლექტივები. უზბეკი მეგობრები გულთბილად შეხვდნენ მაღაროელთა ცეკვისა და მეტალურგთა ვოკალურ ანსამბლებს, რომლებმაც მოხიბლეს მასპინძლები.

ქართველთა სტუმრობა ასახეს ტაშკენტის საოლქო გაზეთებმა „ტაშკენტსკაია პრავდამ" და „ტოშკენტ ხაკიკატიმ" მათ დაბეჭდეს ჭიათურის კულტურის სასახლის მოცეკვავეთა ანსამბლის გამოსვლების ფოტოები.

გაზეთი „ტაშკენტსკაია პრავდა" წერილში „შეხვედრა ქართველ ძმებთან", წერს:

მოძმე საქართველო იყო სახელოვანი გმირი დღესასწაულისა, რომელიც ალმალიკის კულტურის სასახლეში გაიმართა. ზეიმზე, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა, თავის უზბეკ ამხანაგებთან ჩამოვიდნენ ორი ქალაქის — ზესტაფონისა და ჭიათურის მეტალურგები. მაგრამ სანამ ქართული მელოდიები სასახლის კედლებში აჟღერდებოდა, დღესასწაული დაიწყო მეტალურგიული კომბინატის საამქროებში, ბიბლიოთეკებსა და წითელ კუთხეებში. მელოდიებს, სიმღერებსა და ცეკვებს, რომლებითაც უზბეკურ მიწაზე მოვიდნენ ქართველი მუშები და ინჟინრები — მხატვრული თვითმოქმედების მონაწილენი, წინ უძღოდა მრავალი შეხვედრა. პროფესიით ამხანაგებს შეხვდნენ კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ა. კოპაძე, კომუნისტური შრომის ცვლის უფროსი ს. ვერულაშვილი, ბრიგადირი მ. ხაჩიძე. „საქართველოს დღეს" მიეძღვნა ფოტო და წიგნის გამოფენები, კონკურსები და რადიოგაზეთის გამოშვებანი. შეხვედრა დამთავრდა დიდი კონცერტით, რომელიც გამართეს ქართველმა მეგობრებმა. მათ მასპინძლებს უჩვენეს მშობლიური მხარის სიმღერები და ცეკვები.

„საქართველოს დღე" — ერთი იმ დღესასწაულთაგანია, რომელსაც ალმალიკელი მეტალურგები სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად მართავენ.

ТОШКЕНТ
ХАҚИҚАТИ

სტალინგრადის ომნახულ მიწაზე

80 რუსთაველი მშენებელი მემონტაჟე ამ დღეებში გაემგზავრა გმირ ქალაქ ვოლგოგრადში. მათ შორის იყვნენ სტალინგრადის გმირული ბრძოლების მონაწილენი ი. ზუბკოვი, ე. გუგუშვილი, ი. ანისიმოვი, მ. დოხნაძე, ლ. კობიძე და სხვები.

საქართველოდან ჩასულ სტუმრებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ომის შემდეგ აღდგენილმა ქალაქმა. ქართველი მშენებელ-მემონტაჟეები იყვნენ ვოლგოგრადის სამრეწველო საწარმოებში, აგრეთვე ვოლგოგრადის მახლობლად ომის შემდეგ გაშენებულ ახალ ქალაქ ვოლჟსკში, რომელიც ყურადღებას იპყრობს თავისი უნიკალური ელექტროსადგურებით.

მშენებელ-მემონტაჟეებმა ვოლგოგრადში სამი დღე დაჰყვეს. ეს მგზავრობა მიეძღვნა წითელი არმიის დღესა და სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავს.

ი. ბელოუსოვა,
მრავალტირაჟიან გაზეთ „რუსთავის მშენებლის" თანამშრომელი.

მსოფლიო დღეს

საბჭოთა კავშირი არაბი ხალხების მეგობარია

დამასკო. 23 თებერვალი. (საკდესის სპეც. კორ.). სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა აბდელ რაჰმან ჰლეიფაუიმ სადილი გამართა აქ ოფიციალურ ვიზიტად მყოფი საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი. სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. მიესალმა რა საბჭოთა სტუმრებს, აბდელ რაჰმან ჰლეიფაუიმ განაცხადა, რომ მსოფლიოში, და განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთის რაიონში შექმნილი პირობები სირიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ურთიერთობას ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, გვიკარნახებს განვამტკიცოთ და განვავითაროთ ეს ურთიერთობა სხვადასხვა დარგში, ვინაიდან საერთო ბრძოლას ვეწევით იმპერიალიზმისა და სიონიზმის წინააღმდეგ, ხალხთა სოციალური პროგრესისათვის და სამართლიანობის საფუძველზე მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამყარებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა, განაცხადა საპასუხო სიტყვაში კ. ტ. მაზუროვმა, მზად არიან კვლავაც განამტკიცონ და განავითარონ ყოველმხრივი კავშირი სირიის არაბთა რესპუბლიკასთან მეგობრობის, თანასწორუფლებიანობის, ურთიერთგაგების საფუძველზე.

გადატრიალება კატარში

ნიუ-იორკი, 24 თებერვალი. (საკდესი): კატარში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო იუწყება, ძალაუფლება ხელთ იგდო კატარის მმართველის მოადგილემ და ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა შეიხმა ხალიფა ბენ ჰამად ალ-თანიმ.

კატარი პატარა არაბული სახელმწიფოა სპარსეთის ყურის სანაპიროზე. მოსახლეობა დაახლოებით 100 ათას კაცს შეადგენს. კატარი მდიდარია ნავთობის საბადოებით. ნავთობის ყოველწლიური ექსპორტი 10 მილიონ ტონას აღემატება.

კონგოს ამბები

ბრაზავილი. 24 თებერვალი. (საკდესი). დღეს ბრაზავილში სრული სიმშვიდეა. გუშინდელი დღის დაძაბულობას მოგვაგონებენ მხოლოდ ქალაქის ქუჩებში მოსიარულე სამხედრო პატრულები. კონგოს სახალხო რესპუბლიკის მთავრობა მთლიანად უწევს კონტროლს დედაქალაქსა და მთელ ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას.

გუშინდელი ამბების სურათი ასეთია. განთიადზე საბრძოლველად გაამზადეს არმია და სახალხო მილიცია. დაახლოებით დილის 8 საათზე პუენტნუარში პრეზიდენტმა ნ. ნგუაბიმ სიტყვა წარმოთქვა რადიოთი. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ არმიის ზოგიერთმა ელემენტმა ამბოხება მოაწყო დედაქალაქში. როგორც არმიის მთავარსარდალმა, პრეზიდენტმა უბრძანა მათ დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყვნენ ყაზარმებში, რათა თავიდან აეცილებინათ სისხლისღვრა.

ნაშუადღევს მეამბოხეთა გამოსვლა ჩაახშეს, ხოლო ამბოხების ხელმძღვანელები გაიქცნენ და ხელისუფლებს ემალებიან.

ამერიკის პრეზიდენტი პეკინში

პეკინი. 23 თებერვალი. (საკდესი). დღეს გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაის მესამე შეხვედრა, რომელიც ოთხ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი უ. როჯერსი აწარმოებდა მოლაპარაკებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ჭი პენ-ფეისთან.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა პრესის საკითხებში ზიგლერმა თავი აარიდა პასუხს ამერიკელ კორესპონდენტთა შეკითხვებზე ამერიკა-ჩინეთის საუბრების შინაარსის შესახებ, მოიშველია რა ორივე მხარის წინასწარი შეთანხმება, რომ არ გაამხილონ, თუ რა ხდება მოლაპარაკებაზე. ზიგლერმა განაცხადა, რომ ვიზიტის დასასრულს გამოქვეყნდება შესაბამისი კომუნიკე.

პეკინში მყოფი ჟურნალისტები თავიანთ ცნობებში აღნიშნავენ, რომ „მკვეთრად გაიზარდა ჩინეთის პრესის მიერ რ. ნიქსონის ვიზიტის გაშუქების მასშტაბი".

პეკინის გაზეთები დღეს აქვეყნებენ ჩინეთის ხელმძღვანელობისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ერთად გადაღებულ მთელ რიგ სურათებს, აგრეთვე ფოტოსურათებს, რომლებზეც აღბეჭდილია, რომ რ. ნიქსონი ჯოუ ენ-ლაისთან და მაო ძე-დუნის ცოლთან ძიან ცინთან ერთად ესწრება „თანამედროვე რევოლუციურ ბალეტს". პეკინის ტელევიზიამ უჩვენა ნახევარსაათიანი პროგრამა მაო ძე-დუნისა და რ. ნიქსონის შეხვედრის და პრეზიდენტის პატივსაცემად ჯოუ ენ-ლაის მიერ მოწყობილი ბანკეტის შესახებ.

აქაური მიმომხილველნი ყურადღებას აპყრობენ იმას, რომ პეკინის გაზეთებსა და რადიოგადაცემებში ერთხელაც არ მოუხსენებიათ „ამერიკის იმპერიალიზმი". ჩინეთის პრესაში შესამჩნევად შემცირდა ინფორმაცია ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე ამერიკის ავიაციის თავდასხმისა და სამხრეთ ვიეტნამის დაბომბვის შესახებ. „ჟენმინ ჟიბაოს" დღევანდელ ნომერში ვიეტნამის შესახებ გამოქვეყნებულ ორ მასალაში აღნიშნულია ვიეტნამელ პატრიოტთა ბრძოლა უსახელო მტრების წინააღმდეგ.

აირჩიეს დაუსწრებლად

ნიუ-იორკი, 24 თებერვალი. (საკდესი). ანჯელა დევისი არჩეულია ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, წერს ამერიკელ კომუნისტთა გაზეთი „დეილი უორლდი".

როგორც ცნობილია, მამაცი კომუნისტი ახლა კალიფორნიის შტატის საპყრობილეშია და ელოდება გასამართლებას შეთითხნილი ბრალდების გამო.

ორდენი — საბჭოთა მწერალს

ბერლინი. 24 თებერვალი. (საკდესი). კ. ა. ფედინის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ საბჭოთა მწერალი დააჯილდოვა „ხალხთა მეგობრობის ვარსკვლავის" ოქროს ორდენით.

ფინეთის ახალი მთავრობა

ჰელსინკი, 24 თებერვალი. (საკდესი). ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ურჰო კეკონენმა დაამტკიცა ფინეთის ახალი მთავრობის შემადგენლობა. მთავრობას მეთაურობს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე რაფაელ პაასიო. წინა კოალიციური მთავრობისაგან განსხვავებით ახლად შექმნილი მთავრობა ერთპარტიულია და შედგება სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებისაგან.

საკავშირო
1972
V
კინოფესტივალი
თბილისი

კინოხელოვნების დიდი ფორუმი თბილისში

დ ღ ე ს

რუსთაველის სახელობის კინოთეატრში — საკონკურსო მხატვრული ფილმების ჩვენება

10.00 — **„თაგუნია ჰაი-ჰაი“** („არმენფილმი“), **„ხათაბალა“** („არმენფილმი“).

12.00 — **„სიყვარულის დრამა“** („უზბეკფილმი“).

16.00 — **„ატომიკი“** („ტალინფილმი“), **„უკანასკნელი რელიკვია“** („ტალინფილმი“).

18.00 — **„ზახარ ბერკუტი“** (ა. დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდია).

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მცირე დარბაზი — საკონკურსო დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების ჩვენება

10.00 — **„შორეული აღმოსავლეთი“** № 33 (შორეულ აღმოსავლეთის სტუდია), **„მადლობა თქვენ“** („არმენფილმი“), **„ადამიანი სწვდება ტვინის საიდუმლოებას“** („არმენფილმი“), **„ოკეანევ — ჩემო ბედისწერავ“** (შორეულ აღმოსავლეთის სტუდია), **„ძიება“** („თურქმენფილმი“), **„გორეში“** („თურქმენფილმი“), **„დიდი მამხილებელი“** (ლენინგრადის სტუდია).

16.00 — **„ახალი ამბები“**, **„პიონერია“** და **„ამერიკის გზა“** (მოსკოვის კინოსტუდია).

18.00—**„საბჭოთა ყაზახეთი“** № 18, **„ამხანაგო მდივანო“**; **„დოსტოევსკი ყაზახეთში“** („ყაზახფილმი“), **„ჩემი სახლი“** („ტაჯიკფილმი“), **„ეს არის სპორტი“** (მოსკოვის კინოსტუდია).

კინოთეატრი „ამირანი“ — კონკურსგარეშე ფილმების ჩვენება

10.00 — **„ჩვენ ოთხნი ვართ“** („ყაზახფილმი“).

20.00 — **„ატამანის აღსასრული“** („ყაზახფილმი“).

სიმართლე დიდი ბრძოლის შესახებ

ფილმები მამათა გმირობაზე უამბობენ შვილებს

საბჭოთა ხალხის გმირობასა და მამაცობას დიდ სამამულო ომში მიეძღვნა მეხუთე სრულიად საკავშირო ფესტივალზე საბჭოთა კინემატოგრაფისტების მიერ წარმოდგენილი ბევრი სურათი. მათ შორისაა მხატვრული ფილმი **„მამილო“**, რომლის გასინჯვა გაიმართა 24 თებერვალს. ეს ფილმი ბელორუსმა რეჟისორმა ბ. სტეპანოვმა გადაიღო დოკუმენტურ საფუძველზე. სურათის ცენტრშია „სახალხო შურისმაძიებელთა რაზმის“ ხელმძღვანელი საბჭოთა კავშირის გმირი მინაი შმირიოვი.

თაობათა მემკვიდრეობითობას, სამშობლოსათვის მებრძოლ მამათა საგმირო საქმეებისადმი ერთგულებას ეძღვნება აგრეთვე მეორე საკონკურსო ფილმი **„წუთიერი დუმილი“**, რომელიც რეჟისორმა მ. შატროვმა გადაიღო გორკის სახელობის კინოსტუდიაში.

კინოეპოპეა **„განთავისუფლების“** დამამთავრებელი ფილმები **„ბრძოლა ბერლინისათვის“** და **„უკანასკნელი შტურმი“** აგვირგვინებენ უზარმაზარ ტილოს, რომელიც ასახავს საბჭოთა ხალხის ბრძოლასა და გამარჯვებას ფაშისტურ გერმანიაზე.

— ჩვენი ნაწარმოები, — უთხრა „განთავისუფლების“ რეჟისორმა **ი. ოზეროვმა** საქტესის კორესპონდენტს, — ისტორიული ქრონიკაა და მთლიანად აგებულია დოკუმენტირებულ ისტორიულ ფაქტებზე.

— ჩვენთვის მოულოდნელი არ არის, — განაგრძო **ი. ოზეროვმა**, — ის უდიდესი რეზონანსი, რომელიც საზღვარგარეთ გამოიწვია ამ სურათმა. როცა ჰოლივუდში ვიყავი საბჭოთა კინემატოგრაფისტთა დელეგაციის წევრად, ჩვენ ვუჩვენეთ ციკლის პირველი ფილმები ამერიკელ კოლეგებს. ამან გარკვეული ინტერესი გამოიწვია, მაგრამ სურათის მასობრივი გაქირავება ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ არ იყო, თუმცა ქვეყნის უდიდესმა ფირმამ უკვე შეისყიდა ფილმები.

— პატივცემულო იური, ხომ არ ამოიწურა თქვენთვის სამხედრო თემა? რაზე მუშაობთ ახლა?

— მაყურებლებმა იციან, რომ „განთავისუფლების“ გადამღები კოლექტივიდან ბევრი — სცენარისტი, რეჟისორი, ოპერატორი — დიდი სამამულო ომის მონაწილეა. ეს თემა ჩვენთვის სანუკვარიც არის და ამოუწურავიც. ეპოპეაზე მუშაობის დამთავრების შემდეგ გადავწყვიტეთ იმავე შემადგენლობით შევქმნათ ორი ახალი დიდი ფილმი — **„აჯანყებული ევროპა“**.

კინოფესტივალის მესამე დღეს ბელორუსული ფილმის „მამილო“ გარდა ნაჩვენები იყო „ყირგიზფილმის“ „ისიკ-ყულის წითელი ყაყაჩოები“, „ლენფილმის“ „თეთრი დედოფლის სვლა“, „მოლდოვა-ფილმის“ „ყანჩის მართვე კიჩი“ და „თადარიგის ოფიცერი“.

მეცნიერულ-პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების კონკურსზე ნაჩვენები იყო შემდეგი სურათები: „ტალინფილმის“ „საბჭოთა ესტონეთი“ № 3, „მხიარული ფუსფუსი“, „წიწვოვანი ქალაქი“, საქართველოს მეცნიერულ-პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების სტუდიის ნაწარმოები „მემაღლივენი“ და „ოქროს საწმისი“, სვერდლოვსკის სტუდიის „საბჭოთა ურალი“ № 15, „გზა მშვიდობისა, „მოსკვიჩო“ და „ჩემო დაღესტანი“, კიევის მეცნიერულ-პოპულარული ფილმების სტუდიის „რიტმი მსოფლიოს“ და „მართვა, ეკონომიკა, ადამიანი“, ჩრდილოეთ კავკასიის სტუდიის „ჩრდილოეთი კავკასია“ № 7, დონის როსტოვის სტუდიის „დრო“ № 42 და „წყნარი დონის სიმღერები“, ქვემო ვოლგის სტუდიის „ვოლგის ჩირაღდნები“ № 20, კუიბიშევის სტუდიის „ვოლგისპირეთი“ № 3, „მეტალურგი ივსევი“, „პორტრეტი და ქრონიკა“.

კონკურსგარეშე მხატვრული ფილმებიდან ნაჩვენები იყო რიგის სტუდიის სურათი „სიკვდილის ჩრდილში“. კონკურსგარეშე ქრონიკალურ-დოკუმენტური და მეცნიერულ-პოპულარული ფილმებიდან ნაჩვენები იყო უზბეკეთის მეცნიერულ-პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების სტუდიის „სადაგი დღეები“, „ვილორბოლა“ და „შემოდგომის რეპორტაჟი“, „ყირგიზფილმის“ „მივიწყებული სიმღერა“ და ქართული ფილმი „საქართველო: ლეგენდები და სინამდვილე“.

ამ დღეს საქართველოს დედაქალაქის სამრეწველო საწარმოებსა და დაწესებულებებში იყვნენ და საინტერესო საუბრები ჰქონდათ მაყურებლებთან V სრულიად საკავშირო კინოფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს. (საქტესი).

სტუმართა სიტყვა

ლ. ოსიკა,
უკრაინელი კინორეჟისორი

თბილისში ჩამოვიტანე ჩემი რიგით მეოთხე რეჟისორული ნამუშევარი „ზახარ ბერკუტი“, რომელიც ი. ფრანკოს ნაწარმოების მიხედვით გადავიღე. სურათში ასახულია მონღოლთა შემოსევა კიევის რუსეთზე... მღელვარება მიპყრობს... ჩემი ფილმის შემფასებელია არა მარტო ჟიური, არამედ ქართველი მაყურებელიც. რთული მისია მაკისრია. რაც შეეხება ჩემს სიმპათიებს ქართული კინემატოგრაფის მიმართ, შემიძლია თამამად განვაცხადო — იგი ჩემთვის ერთ-ერთი მოწინავე, ნიჭიერი, შთამაგონებელი და ძვირფასია.

ჩემი ნამუშევრებიდან, ყველაზე მეტად „ქვის ჯვარი“ მიყვარს, სადაც მოთხრობილია უკრაინელ ემიგრანტზე, რომელიც კანადაში წავიდა და ნოსტალგიამ მოკლა. სევდიანი ისტორიაა... უკრაინელი კაცის აფორიაქებული სულის, მისი ადამიანური ტკივილების გადმოცემას შევეცადე. დღეს ფილმ „ზახარ ბერკუტის“ პრემიერაა. მთავარ როლს ახალგაზრდა, ყველასათვის უცნობი მსახიობი ვასილ სიმჩიჩი ასრულებს.

ბ. ბატაევი,
კინომსახიობი

კინოში ჩემი დებიუტი ამ რამდენიმე წლის წინათ შედგა. რეჟისორმა ბ. კიმიაგაროვმა მათამაშა ფილმ „ხასან-არაბაკეშში“, მერე ნ. სანიშვილის სურათში „ჩერმენი“ მთავარი როლი განვასახიერე. საქართველოში ბევრი მეგობარი მყავს. ყველა ახალგაზრდის შემოქმედებითი გეგმები და ოცნებები მრავალფეროვანი და რომანტიკულია. მინდა რეჟისორი გავხდე და ამავე დროს როგორც მსახიობმა განვასახიერო დიდბუნებოვანი და ვაჟკაცური ხასიათის ადამიანები.

ამ ფილმებს ვნახავთ ფესტივალზე

ფარვანის ცეკვა

რიგის კინოსტუდიის ნაწარმოები

ფილმი დადგა რეჟისორმა ო. დუნკერსმა. სცენარის ავტორია ზ. სკუინია. სურათში მოთხრობილია ახალგაზრდაზე, რომელიც ყალბ პოპულარობას დადევნებული ნამდვილ ბედნიერებას ასცდა.

მთავარ როლებს ასრულებენ ბრუნო ოია და ასტრ იდა კაირიშა. ფილმში მონაწილეობენ აგრეთვე გ. არტმანე, ო. კობერიძე, ლ. ელიავა, რ. რაძინია და სხვები. ოპერატორია მ. ქვირბოლისი, მხატვარი გ. ზემგალი. მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ რ. პაულსს.

ყიზ-ჟიბეკი

ყაზახეთის კინოსტუდიის ნაწარმოები

ორსერიიანი ფილმი „ყიზ-ჟიბეკი“ ყაზახური ეპოსის მიხედვით არის გადაღებული.

IV საუკუნის ამბებმა სურათში თანამედროვე ფილოსოფიური ჟღერადობა მიიღო. კეთილი და ბოროტი, ომი და მშვიდობა, სიყვარული და სიძულვილი ფილმში ეპიკურ პლანშია გადაწყვეტილი. ყურადღებას იქცევს სურათის ფილოსოფიური სიღრმე, მხატვრული მხარე.

სურათზე: კადრი ფილმიდან „ყიზ-ჟიბეკი“.

ა. გიპსლისი: — «ცხარე ბრძოლა მოგველის!»

თბილისში სტუმრად იმყოფებოდა ცნობილი რიგელი გროსმაისტერი და ჟურნალისტი, ჟურნალ „შახსის“ მთავარი რედაქტორი ა. გიპსლისი. ჩვენი საჭადრაკო მიმომხილველი გ. მაჭრეველი ეწვია მას და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე.

— 1 მარტიდან საფუძველი ეყრება კიდევ ერთ ტრადიციას — საკავშირო საჭადრაკო ოლიმპიადას, რომელიც თავისი შემადგენლობით მეტისმეტად ძლიერი შეჯიბრებაა. როგორ ფიქრობთ, ვისა აქვს პირველი ადგილისათვის ბრძოლის შესაძლებლობები?

— ჩემი აზრით, ყველაზე მეტი შანსები აქვთ მოსკოვის, ლენინგრადისა და რსფსრ-ის გუნდებს, რომელთაც მთავარი კონკურენცია უკრაინელებმა უნდა გაუწიონ.

— საქართველოს გუნდი ამ ასპარეზობაში საგრძნობლად შესუსტებული შემადგენლობით ებმება. არ იქნებიან ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია, მსოფლიოს ჩემპიონის სეკუნდანტი თ. გიორგაძე...

— დიახ, მაგრამ თქვენები მაინც უნდა გავიდნენ ფინალში. ქვეჯგუფში მათ მხოლოდ უკრაინის გუნდი აღემატება, თუმცა მანაც ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცოს, რომ უპირატესობა აქვს.

— თქვენს საკუთარ კოლექტივზე რას იტყვით?

— როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ შესანიშნავი ლიდერი გვყავს მ. ტალის სახით, თუმცა ზოგიერთ დაფაზე სიძნელეებსაც განვიცდით. ვნახოთ... ლატვიის გუნდსაც, საქართველოსი არ იყოს, სურს ფინალში გასვლა, თუმცა ეს იოლი არ იქნება.

— ცნობილი გახდა, რომ ოლიმპიადაზე მონაწილეობას არ მიიღებს მსოფლიოს ჩემპიონი ბ. სპასკი.

— დიახ, მისი არყოფნა დიდად უნდა დაეტყოს რსფსრ-ის გუნდს. მსოფლიოს ჩემპიონის „დუბლიორის“ მოძებნა ფაქტიურად შეუძლებელია. ამ ამოცანას გროსმაისტერი ლ. პოლუგაევსკი იკისრებს. თვით სპასკი კი ახლა რ. ფიშერთან შესახვედრად ემზადება.

— რას ელით ამ მატჩისაგან?

— ძნელი სათქმელია. ორივე მხარეს თავისი უპირატესობა აქვს. გააჩნია, ვინ როგორ გამოიყენებს მას. სპასკი უფრო ძლიერია კომბინაციურ თამაშში, ფიშერი კი უდიდესი სიზუსტით თამაშობს ე. წ. „უბრალო პოზიციებში“. ერთი სიტყვით, მოიგებს ის, ვინც მეტოქეს თავისათვის ხელსაყრელ თამაშს მოახვევს თავს.

— რ. ფიშერთან რა ანგარიში გაქვთ?

— მე გროსმაისტერების იმ მცირერიცხოვან რიცხვს მივეკუთვნები, რომელთაც ფიშერთან დადებითი ანგარიში აქვთ, თუმცა ეს ამბავი დამატებით განმარტებას მოითხოვს. ჩვენ უნდა გვეთამაშა 1967 წელს სუსის საზონათაშორისო ტურნირში. თეთრი ფიგურები მე მეკუთვნოდა. მივედი სატურნირო დარბაზში, მეფის წინა პაიკი ორ უჯრაზე წავწიე. ფიშერი არსად ჩანდა. შემდეგში გამოირკვა, რომ მან საერთოდ მიატოვა შეჯიბრება, თუმცა ამ მომენტისათვის სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე იყო. ერთი სიტყვით, მოგება ჩამითვალეს.

— ბევრი დრო აღარ დარჩა ნ. გაფრინდაშვილ-ა. კუშნირის მატჩამდე...

— ჩვენ, რიგელები, შევეცდებით გავამართლოთ ეს დაკისრებული საპატიო ამოცანა და ეს შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩავატაროთ. ვფიქრობ, 1965 წელს ცუდი მასპინძლები არ ვყოფილვართ. მონაწილეებს ყველა პირობას შევუქმნით.

— როგორ ფიქრობთ, ვინ მოიგებს?

— მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ნონა მოიგებს. სამისოდ საჭირო არ არის დიდი „წინასწარმეტყველი“ იყო. თუმცა [illegible] ნუ დავუკარგავთ მის უდავო ღირსებებს: უდიდეს შეუპოვრობას, ჩინებულ ტექნიკას, თვალსაჩინო ერუდიციას. ეს ასეა, მაგრამ განსხვავება მეტოქეთა შორის თვალსაჩინოა. რა თქმა უნდა, გაიზარდა კუშნირი, მაგრამ ნონამ სწორედ უკანასკნელ სეზონში ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია — ბელგრადის „8 მარტის ტურნირში“, სადაც 13 თამაშიდან ცამეტივე მოიგო და ვ. გოგლიძის მემორიალში, სადაც ვაჟთა შორის ოსტატის ნორმა შეასრულა. ეს არნახული შემთხვევაა ჭადრაკის ისტორიაში.

— როგორ უყურებთ ქალთა შორის გროსმაისტერის წოდების შემოღების საკითხს?

— კარგი იქნება, თუ ფიდე შემოიღებს ამ წოდებას, ოღონდ, რა თქმა უნდა, არ უნდა მოხდეს ამ წოდების „გაიაფება“. დაე იგი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში მიანიჭონ.

— როგორია თქვენი პირადი გეგმები?

— საბჭოთა კავშირის ოლიმპიადა, ჟურნალ „შახსის“ რედაქტორობა, საკავშირო პირველობის ნახევარფინალში მონაწილეობა. საქმე ის არის, რომ წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატი მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირია. მე ერთხელ უკვე ვმონაწილეობდი საზონათაშორისო ტურნირში. ეს პირველი ცდა მარცხიანი აღმოჩნდა. ახლა ყველაფერს თავიდან ვიწყებ და, უნდა მოგახსენოთ, იმედიანადაც. ცხარე ბრძოლა მოგველის.

ერთმა ქულამ გადაწყვიტა

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში შედგა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. თამაშობდნენ ტარტუს „კალევისა“ და თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდები. პირველი ნახევარი სტუმრებმა მოიგეს 32:28. მეორე ტაიმის მეთერთმეტე წუთზე თბილისელებმა წონასწორობა აღადგინეს, შემდეგ კი ერთ პერიოდში ექვსი ქულითაც კი იყვნენ წინ, მაგრამ ფინიშთან დათმეს პოზიციები და წააგეს მატჩი ერთი ქულით — 63:64.



ეროვნული ბიბლიოთეკა

„რ ი ტ მ ი“
(საქართველოს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის სცენაზე)
ფოტო მ. დათიკაშვილისა.

50
კომუნისტი

ძვირფასო მეგობრებო!

დღეს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია აქვეყნებს მკითხველთა პირველ ნამუშევრებს, რომლებიც შემოვიდა ჩვენი გაზეთის 1972 წლის — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის ორმოცდამეათე წლისთავის წლის ფოტოკონკურსზე.

გვინდა ჩვენს მკითხველებს გავახსენოთ, რომ ფოტოკონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია ფულადი პრემიები.

კონკურსის დებულებას შეგიძლიათ დაწვრილებით გაეცნოთ გაზეთ „კომუნისტის“ 19 იანვრის ნომერში.

მოვუწოდებთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს, ფოტოჟურნალისტებსა და ფოტომოყვარულებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ კონკურსში.

ფოტოსურათები გთხოვთ გამოგზავნოთ შემდეგი მისამართით: 380008. თბილისი 8. ლენინის ქუჩა, 14, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას და ზედ აღნიშნოთ „ფოტოკონკურსისათვის“.

ველით თქვენს ნამუშევრებს. გისურვებთ შემოქმედებით წარმატებებს!

გუშინ, დღეს ამინდი

გუშინ ჩვენს დედაქალაქში მთელ დღის მზიანი ამინდი იდგა. შედარებით დათბა. დღის 12 საათზე თერმომეტრი უჩვენებდა პლუს 2 გრადუსს. თბილოდა დღისით **აღმოსავლეთ საქართველოში**. ქართლისა და კახეთის რაიონებში აღინიშნა 4-6 გრადუსი სითბო. წინა ღამეს კი კვლავ ყველგან ყინავდა. წალკაში იყო 25 გრადუსი ყინვა, ბაკურიანში, ახალციხეში 18, დანარჩენ ადგილებში 6-7 გრადუსი.

დასავლეთ საქართველოს სანაპირო რაიონებში 15-17 გრადუსი სითბო იყო. აქ წინა ღამესაც ყველგან თბილოდა, გარდა ზუგდიდის, გეგეჭკორის, გაგრისა და საქარისა, სადაც ღამით 1-2 გრადუსი ყინვა იყო. რიონის ხეობაში ქროდა წამში 18-22 მეტრის სიძლიერის ქარი.

დღეს, 25 თებერვალს, ყველგან უნალექო ამინდია მოსალოდნელი. ტემპერატურა **დასავლეთ საქართველოს** ბარში დღისით იქნება 13-17, ღამით ნული-5 გრადუსი სითბო, მთაში დღისით 8-13 გრადუსი სითბო, ღამით ნული-5 გრადუსი ყინვა. **აღმოსავლეთ საქართველოს** ბარში დღისით მოსალოდნელია 5-10 გრადუსი სითბო, ღამით 4-9 გრადუსი ყინვა, მთაში დღისით 2-7, ღამით 15-20 გრადუსი ყინვა.

თბილისში დღისით იქნება 8-10 გრადუსი სითბო, ღამით 4-6 გრადუსი ყინვა.

კანადაში, მსოფლიო ჩემპიონატზე...

წელს მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში კანადის ქალაქ კალგარში გაიმართება. იგი სტარტს 7 მარტს აიღებს და თითქმის ერთ კვირას გაგრძელდება.

სსრ კავშირის ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობა. საბჭოთა გუნდს სათავეში უდგანან მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები წყვილთა ასპარეზობაში მოსკოველები ი. როდნინა და ა. ულანოვი (ცსკა) და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები ყინულზე ცეკვაში დედაქალაქის დინამოელები ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი.

ჩემპიონებთან ერთად ჩვენი გუნდის შემადგენლობაში შევიდნენ: წყვილებიდან — ლენინგრადელები ლ. სმირნოვა — ა. სურაიკინი და მოსკოველები ი. ჩერნიაევა — ვ. ბლაგოვი, აგრეთვე დედაქალაქის მოცეკვავეები — ტ. ვოიტიუკი — ვ. ჟიგალინი და ე. ჟარკოვა — გ. კარპონოსოვი.

13 წლის მოსწავლე მ. სანაია გამოვა ქალთა ერთეულების ასპარეზობაზე. ვაჟთა შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ ს. ჩეტვერუხინი, ვ. კოვალიოვი და ს. ვოლკოვი.

ტურნე დაამთავრეს

საზღვარგარეთ ტურნე დაამთავრეს კიევისა და მოსკოვის დინამოელებმა, აგრეთვე სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა. თითქმის ორ კვირას იმყოფებოდა საბჭოთა ნაკრები იუგოსლავიის კუნძულ ხვარზე, მოაწყო საერთაშორისო მატჩები. ნაკრები უკვე დაბრუნდა სამშობლოში, მისი წევრები დაუბრუნდნენ თავიანთ კლუბებს და აქ განაგრძობენ წვრთნას მომავალი პასუხსაგები შეხვედრებისათვის. სამშობლოში დაბრუნდნენ აგრეთვე კიევისა და მოსკოვის დინამოელები. ამ ორი გუნდის საერთაშორისო შეხვედრებიდან უნდა გამოვყოთ მოსკოვის „დინამოს“ გამარჯვება ბულგარეთის ნაკრებთან 2:1.

ამ დღეებში მოსკოვისა და კიევის „დინამოს“ გუნდები ჩაებმებიან სსრ კავშირის თასის გათამაშებაში. მოსკოვის „დინამო“ მერვედფინალში ორჯერ შეხვდება დონეცკის „შახტიორს“, ხოლო კიევის „დინამო“ — ივანოვოს „ტექსტილშჩიკს“.

მეორე გამარჯვება

ჯაკარტა, 23 თებერვალი (საქტესი). სსრ კავშირის 1971 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორებმა — თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა, რომლებიც ინდონეზიაში იმყოფებიან, დღეს აქ ანგარიშით 6:3 დაამარცხეს ინდონეზიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. მანამდე თბილისელებმა აქვე მოუგეს დანიის „ოდენსეს“ კლუბს — 4:2.

სპორტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის

თბილისის № 51 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა დამატებით მიღებას 1971-72 სასწავლო წლისათვის პლასტმასის მწნეხავის სპეციალობით

სწავლების ხანგრძლივობა ერთი წელია.

მიიღებიან საშუალო განათლების მქონე 17-35 წლის ვაჟები და ქალიშვილები. სასწავლებელში ჩარიცხულნი მიიღებენ სტიპენდიას — 36 მანეთს, ხოლო ფრიადოსნები 45 მანეთს.

წვევამდელები სწავლის მანძილზე სარგებლობენ საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევის განავადებით. სასწავლებლის ყველა მოსწავლეს ეძლევა საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებული თანხის 33 პროცენტი. სასწავლებლის წარჩინებით დამთავრებულნი უმაღლესი სასწავლებლის დაუსწრებელ და საღამოს განყოფილების მაპროფილებელ ფაკულტეტზე ჩაირიცხებიან კონკურსგარეშე.

მსურველებმა დირექტორის სახელზე განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. საშუალო სკოლის ატესტატი (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 4. ფოტოსურათი (3X4) 6 ცალი, 5. პასპორტს, სამხედრო ბილეთს, მიწერის მოწმობას წარმოადგენს პირადად.

ცნობების მიღება და საბუთების წარმოდგენა ყოველდღე, გარდა კვირადღისა დილის 9-დან დღის 5 საათამდე.

სწავლა დაიწყება 1972 წლის 1 მარტს.

მისამართი: თბილისი, ლენინის რაიონი, მაგნიტოგორსკის ქ. № 5 № 51 ტექნიკური სასწავლებელი. ტრამვაი № 3, 11, 1. ავტობუსი № 11, 18, 24, 46, 48, 55, 57, 62. მეტრო „დიდუბე“. ტელეფონი 66-18-29, 66-05-80.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

25 თებერვალი

პირველი პროგრამით

11.05 — კინოპროგრამა: „ტიიუ რანდვეეირი“ და „ივანე ლაპიკოვი“, 12.05 — მხატვრული ფილმი „გულის სახსოვარი“, 16.25 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ქართულ ენაში, 17.10 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — ცეროდენას ეკრანი, 18.40 — სატელევიზიო პლაკატი „ჩემო სამშობლოვ!“, 19.00 — „შენ საქართველოს სიტურფევ!“, 19.35 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 20.45 — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა საქართველოს ნახევარი საუკუნის მატიანე“ „ოქტომბრის დროშით“, 1971 წელი (XIII სერია), 22.00 — „ვრემია“ საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მეხუთე საკავშირო კინოფესტივალის დღიური, 22.45 — ლიტერატურული თეატრი.

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად — ზოგადი ბიოლოგია (ორგანიზმთა გამრავლების ფორმები), 19.05 — სკოლების დასახმარებლად — რუსული ენა და ლიტერატურა (ვლადიმერ მაიაკოვსკის სატირა), 19.50 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია თეორიულ მექანიკაში, 20.50 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია სკკპ ისტორიაში, 21.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მყუდრო სავანე“.

26 თებერვალი

პირველი პროგრამით

09.30 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.10 — ქართული მხატვრული ფილმი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, 12.35 — საესტრადო კონცერტი, 13.20 — 30 წუთი კინოს მოყვარულთათვის, 13.50 — „ეთერშია ახალგაზრდობა“, „ოსტატთა ქალაქი“ (გადმოცემა ლენინგრადიდან), 14.50 — კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო“ № 18, 15.00 — კომუნისტური შრომის დღესასწაულისადმი მიძღვნილი კომუნისტური შრომის დამკვრელთა საქალაქო საზეიმო კრების ტრანსლაცია თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.50 — სატელევიზიო ჟურნალი ბავშვებისათვის „ცისარტყელა“, 18.30 — „სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის საკითხები ეკონომიურ-მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 19.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.55 — მხატვრული ფილმი „ჰამლეტი“ (პირველი სერია), 21.10 — კონცერტი, 21.40 — მეხუთე საკავშირო კინოფესტივალის დღიური, 21.50 — „მოამბის“ სპეციალური გამოშვება, 22.15 — „ვრემია“ — (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — „კინოპანორამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 24.15 — სპორტული პროგრამა (გადმოცემა შვედეთიდან).

მეორე პროგრამით

18.20 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ხაზვაში, 19.20 — ლიტერატურული კითხვა — მაიაკოვსკის ნაწარმოებები, 20.10 — კინონარკვევი — „ქვიშიანი კონცხის პატრონი“, 20.25 — სატელევიზიო ფილმი „შფოთი“, 21.30 — მხატვრული ფილმი „ვირინეა“.

თეატრები

25 თებერვალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — გედის ტბა; **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ხიდი; **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ნუ გეშინია, დედა!; **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ჩემი სიდედრი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი
380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04453 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.